



გა-8 მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შედეგები



თბილისი, 2016



კვლევის ხელმძღვანელი: ლიკა საჭაია
წამყვანი მკვლევარი: თამარ ტატანაშვილი
კვლევაში მონაწილეობდნენ: გიორგი თოფურიკა, ანა დაბრუნდაშვილი,
გიორგი ნასრაშვილი, ლაშა სენაშვილი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“
მისამართი: აღმაშენებლის გამზ. 61, თბილისი 0102
ტელეფონი +(995 32) 292 14 03

ეს ანგარიში მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის
სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული შეხედულებები
ეკუთვნის მხოლოდ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს და არ გამოხატავს
შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA)
შეხედულებებს.



სარჩევი

შესავალი	4
თავი 1. ზოგადი სტატიისტიკა	4
თავი 2. საკანონმდებლო საქმიანობის შეფასება	8
2.1 პროგრესული კანონები და საკანონმდებლო ცვლილებები	8
• კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”	8
• ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა	8
• არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი	9
• არასრულწლოვანთა ქორწინების აკრძალვა	10
• ნდობის ჯგუფის მანდატის გაფართოება	10
• სამუშაოდან გათავისუფლების იძულების კრიმინალიზება	11
• ადვოკატის უფლებამოსილების გაზრდა	11
• სასჯელის უპირობო შეკრებითობის გაუქმება	12
2.2. პოზიტიური კანონები და საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც დახვეწას საჭიროებს	12
• საჯარო სამსახურის რეფორმა	12
• ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	13
• შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები	14
• ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვის და გადაზიდვა გამიჯნა	15
• საკანონმდებლო ცვლილებები სავიზო რეგულაციებთან დაკავშირებით	16
2.3 ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებები	17
• ეროვნული ბანკისათვის საზედამხედველო ფუნქციის ჩამორთმევა	17
• კერძო საკუთრებიდან პირის საპოლიციო გამოსახლების გაუქმება	18
• ნოტარიუსის საქმიანობის შესახებ კანონში ცვლილებები	19
• შუღლის გაღვივების კრიმინალიზება	20
• “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებები	21
• “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებები	22
• მორატიუმი უცხოელებზე მიწის გასხვისებაზე	22
• მოწმის დაკითხვის ახალი წესი	23
2.4 განხორციელებული რეფორმები მნიშვნელოვანი ხარვეზებით	24
• რეფორმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით	24
• სასამართლოს რეფორმა	25
• პროკურატურის რეფორმა	26
• შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა	27
2.5 პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც არ მიიღო პარლამენტმა	28
• ფარული მოსმენა/მიყურადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები	28
• ოჯახური მდგომარეობის მიზეზით პარლამენტის სხდომის გაცდენის არასაპატიოდ ცნობა	29
• ნეპოტიზმის კრიმინალიზება	30
• საარჩევნო ცვლილებები - მაჟორიტარული სისტემის გაუქმება	31
• საარჩევნო სისტემის გერმანული მოდელი	32
• ანტიკორუფციული სააგენტო	32
• პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისკენ მიმართული ინიციატივები - გენდერული კვოტირება	33
• ფემიციდის კრიმინალიზება	34

2.6. მე-8 მოწვევის პარლამენტის საქმიანობა და პრეზიდენტის ვებო	35
2.7. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული კანონები და შეჩარეული ნორმები	40
• ფარული მოსმენა/მიყურადების არსებული სისტემის გაუქმება	40
• საზოგადოებრივი მანყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების ვადაზე აღრე თანამდებობიდან გათავისუფლების არაკონსტიტუციურად ცნობა	41
• სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მორატორიუმის გაუქმება	42
• საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება - შეაჩეროს სადავო ნორმის მოქმედება გონივრული ვადით	43
• მერის კანდიდატურის დასახელების უფლების მინიჭება საინიციატივო ჯგუფებისათვის	44
• ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა	45
• ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გაუქმების შესახებ ნორმის მოქმედების შეჩერება	47
2.8 დაჩქარებული წესით კანონპროექტთა განხილვა	48
2.9 გაპარტიზებული წესით კანონპროექტთა განხილვა და კანონთა ამოქმედების გადავადება	52
თავი 3. საპარლამენტო კონტროლი	58
3.1 პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა	58
3.2 სამთავრობო საათი	60
3.3 საგამოძიებო კომისიები	60
3.4. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების დასწრება ფრაქციის სხდომაზე	62
თავი 4. პარლამენტის წევრთა აქტივობა	64
4.1 სიტყვით გამოსვლის რაოდენობა	64
4.2 ინიცირებული და მიღებული კანონები	66
4.3 პარლამენტის წევრთა მონაწილეობა პარლამენტის პლენარულ და საკომიტეტო სხდომაებში, დისციპლინური პასუხისმგებლობა	69
4.3.1 პარლამენტის წევრების მიერ პლენარული სხდომაების გატანა	69
4.3.2 პარლამენტის წევრების მიერ კომიტეტის სხდომაების გატანა	72
4.3.3 დისციპლინური პასუხისმგებლობა	74
4.4 მივლინებები	74
თავი 5. პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან და არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა	80
დანართი 1.	104
დანართი 2.	106
დანართი 3.	114
დანართი 4.	118
დანართი 5.	122

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საპარლამენტო მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად აფასებს პარლამენტის საქმიანობას. პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები მოიცავს საკანონდებლო პროცესის შეფასებას, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის ანალიზს, პარლამენტის ცალკეული წევრების აქტივობის და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, პარლამენტის წევრების ბიზნესთან კავშირების და არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობის შესახებ მონაცემებს და ა.შ.

VIII მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შემაჯამებელი შეფასება ეფუძნება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ყოველწლიურ ანგარიშებში მოცემულ ანალიზს, ჩვენ მიერ მოკვლეული ინფორმაციის დამუშავების შედეგებს, ჩვენი ორგანიზაციის საპარლამენტო ოფისების დაკვირვებებს, პარლამენტიდან გამოთხოვილ სტატისტიკურ მონაცემებს¹.

თავი 1 | ზოგადი სტატისტიკა

მე-8 მოწვევის პარლამენტში ჩატარდა **427** პარლამენტის ბიუროს სხდომა და **231** პლენარული სხდომა. მათ შორის, **62** პარლამენტის რიგგარეშე სხდომა. კვორუმის არ არსებობის გამო არ შედგა **10** სხდომა. (აქედან **2** რიგგარეშე).

პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა **1505** კანონი. აქედან:

- მთავრობის მიერ ინიცირებული **865** კანონი,
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული **1** კანონი,
- პარლამენტის კომიტეტების მიერ ინიცირებული **177** კანონი,
- პარლამენტის ფრაქციების მიერ ინიცირებული **13** კანონი,
- პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული **440** კანონი,
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ ინიცირებული **7** კანონი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული **1** კანონი.


მერვე მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა:

- **8** განცხადება
- **4** რეზოლუცია
- **4** კონცეფცია
- **1** მიმართვა

რატიფიცირებული იქნა **179** საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია და მემორანდუმი.

დიაგრამა 1. მერვე მონვევის პარლამენტის მიერ მიღებული კანონების რაოდენობა ინიციატორების მიითითებით


მერვე მონვევის პარლამენტის მიერ მიღებული კანონების რაოდენობა ინიციატორების მიითითებით



საანგარიშო პერიოდში კომიტეტების მიერ ინიცირებული და მიღებული კანონებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს იურიდიულ საკითხთა კომიტეტს (95 კანონი), შემდეგ მოდის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი (30 კანონი), და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი (19 კანონი)


დიაგრამა 2. მიღებული კანონების რაოდენობა (კომიტეტების მიხედვით)

მიღებული კანონების რაოდენობა (ინიციატორი: კომიტეტი)



**დიაგრამა 3. მიღებული კანონების რაოდენობა და ავტორები
(ფრაქციების მიხედვით)**

მიღებული კანონების რაოდენობა (ინიციატორი: ფრაქცია)



თავი 2 | საკანონმდებლო საქმიანობის შეფასება

2.1 პროგრესული კანონები და საკანონმდებლო ცვლილებები

- **კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ**

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი² „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ **კანონით განისაზღვრა დისკრიმინაციის ყველა ფორმის დაუშვებლობა, ხოლო სახალხო დამცველს მიენიჭა უფლება, შეისწავლოს დისკრიმინაციის ფაქტები საკუთარი ინიციატივით ან განცხადების საფუძველზე**. ასევე, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, სახალხო დამცველს მიეცა უფლება, მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, და მოითხოვოს სათანადო აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემა ან მოქმედების შეჩერება.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც სახალხო დამცველისთვის მიმართვის შემთხვევაში, ასევე სასამართლო დავისას, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის პროცესში მტკიცების ტვირთი მთლიანად მოპასუხეზე გადადის. ცალკეული პარლამენტის წევრები, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები და განსაკუთრებით სასულიერო პირები ითხოვდნენ, რომ კანონს არ დაეკონკრეტებინა დისკრიმინაციის ფორმები. განსაკუთრებით სადავო აღმოჩნდა ჩანაწერი სექსუალურ ორიენტაციაზე და გენდერულ იდენტობაზე. პარლამენტში განხილვებისას კანონში ჩაიწერა დათქმა, რომ არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს სახელწიფოსა და ეკლესიის შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების საწინააღმდეგოდ. კანონს საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის მიზნით დაემატა „განსხვავებული მოპყრობა და პირობების შექმნა“, რომელიც არ ჩაითვლება დისკრიმინაციად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება“

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი დადებითად უნდა შეფასდეს³ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში თანასწორობის დამკვიდრების თვალსაზრისით. მით უფრო, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2013 წელს საქართველოს დაეკისრა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების აღმოფხვრისკენ მიმართული კანონის მიღების ვალდებულება.

- **ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა**

2015 წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა ქმედუნარიანობის სამართლებრივი ინსტიტუტის რეფორმა. საკანონმდებლო ცვლილებებს საფუძვლად დაედო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ქმედუნარიანობის არსებული საკანონმდებლო მოდელი არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული. კანონმდებლობის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც პარლამენტის წევრი თამარ კორძაია ხელმძღვანელობდა. საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოახდინა.

² საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, 07/05/2014, <https://goo.gl/q0uSIO>

³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ანტიდისკრიმინაციული კანონი: მიღწევები და გამოწვევები, 17 ივნისი 2014, <https://goo.gl/hrADbV>

საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად იმ პირების მიმართ, რომლებიც კანონმდებლობით „ჭკუასუსტობის“ ან „სულიერი მოშლილობის“ საფუძველზე მიჩნეულიყვნენ ქმედუნარიანობად, შემოღებული იქნა ინდივიდუალური შეფასების სისტემა. შეფასება ეფუძნება არა მხოლოდ სამედიცინო მოდელს, არამედ სოციალური შეფასების სისტემას.

ამასთანავე, კანონმდებლობიდან ამოღებული იქნა „ჭკუასუსტობის“ და „სულიერი მოშლილობის“ ცნებები და დამკვიდრდა „მხარდაჭერის მიმღები“ პირის ინსტიტუტი. მხარდაჭერის მიმღები ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქო-სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდაჭერი ანუ პირი, რომელიც დაეხმარება მას საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში.

„სამართაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასება

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამ რეფორმამდე არსებული საკანონმდებლო რეგულაციებისგან განსხვავებით, რომელთა საფუძველზეც ქმედუნარო პირებს ყველა უფლება ავტომატურად ჰქონდათ ჩამორთმეული, კანონმდებლობა ინდივიდუალური შეფასების მოდელზე გადავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ექსპერტიზის მეშვეობით შეაფასებს საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულად რომელ ნაწილში სჭირდება პირს დახმარება და ამ შეფასების შესაბამისად დაუწესებს შეზღუდვებს. ამ პოზიტიური ცვლილებების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სამართაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს კონსტიტუციასთან.

• არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

2015 წლის 12 ივნისს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი⁴ და ცვლილებები შეიტანა მასთან დაკავშირებულ შესაბამის კანონებში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად პატიმრობა, როგორც სასჯელის ფორმა, არასრულწლოვანის მიმართ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული. მიღებული რეგულაციებით იკრძალება არასრულწლოვანისთვის სასჯელად უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. ბრალის წარდგენიდან წინასასამართლო სხდომაზე არასრულწლოვანის პატიმრობის ვადა 60 დღიდან 40 დღემდე შემცირდა. ნასამართლობა არასრულწლოვანს სასჯელის მოხდისთანავე მოეხსნება.

„სამართაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება ერთმნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია⁵ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების ყველა შტომ თანმიმდევრული და ეფექტიანი ღონისძიებებით უზრუნველყოს მისი სრულყოფილად ამოქმედება. კოდექსის მიხედვით იქმნება სპეციალიზებული ინსტიტუტები, რომლებიც არასრულწლოვანთა საქმეებზე იმუშავებენ. განსაკუთრებით მისასალმებელია სპეციალიზებული პროკურორების, მოსამართლეებისა და პოლიციელების არსებობა.

⁴ საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24/06/2015, <https://goo.gl/ZwVKM8>

⁵ კოალიციის განცხადება იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, 16 აპრილი 2015, <https://goo.gl/hG2hLz>

• არასრულწლოვანთა ქორწინების აკრძალვა

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 16 დეკემბერს მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები⁶, რომლებიც არასრულწლოვანთა ქორწინების რეგისტრაციის შემლუდვას ეხება. შესაბამისი კანონპროექტი სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე შემუშავდა.

ამ ცვლილებების მიხედვით ქორწინების მინიმალური ასაკი იზრდება და 16 წლის ნაცვლად განისაზღვრება 17 წლით. ახალი კანონი ასევე ადგენს, რომ მშობლებსა და მზრუნველებს აღარ ექნებათ ქორწინებაზე თანხმობის გაცემის უფლება და ქორწინების ნებართვის გამცემი ოფიციალური ორგანო მხოლოდ სასამართლო იქნება. საკანონმდებლო ცვლილებებით არასრულწლოვან პირთა ქორწინების ერთადერთ პატივსაღებ საფუძვლად ბავშვის დაბადება ითვლება. საკითხის ამგვარი მოწესრიგება წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ნორმას და ძალას დაკარგავს ამ ცვლილების ამოქმედებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად **2017 წლის 1 იანვრიდან მინიმალური საქორწინო ასაკი იქნება 18 წელი.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება“

არასრულწლოვანთა ქორწინების რეგისტრაციის გამკაცრება და ქორწინებისთვის დადგენილი მინიმალური ასაკის გაზრდა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის პირველ ნახევარში 16-იდან 18 წლამდე პირთა (როდესაც ერთი პირი მაინც იყო არასრულწლოვანი) 265 ქორწინება დარეგისტრირდა ხოლო 2014 წელს რეგისტრირებული იყო 1527 არასრულწლოვანი დედა.

• ნდობის ჯგუფის მანდატის გაფართოება

2015 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში, რის საფუძველზეც **განისაზღვრა კონტროლის დამატებითი მექანიზმები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ და განსახორციელებელ შესყიდვებზე.** საკანონმდებლო ინიციატივის⁷ ავტორია ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი ირაკლი ჩიქოვანი იყო.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებს წარუდგენს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი არასაიდუმლო შესყიდვების შესახებ, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 ლარს, აგრეთვე არანაკლებ წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით განხორციელებული არასაიდუმლო საქმიანობის შესახებ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება“

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში შეტანილი აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია შინაგან საქმეთა სამინისტროს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების და სამინისტროს მიერ განხორციელებული შესყიდვების გამჭვირვალობისა და სამოგადოების უკეთ ინფორმირების თვალსაზრისით.

⁶ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი <https://goo.gl/SKJS22>

⁷ საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ <https://goo.gl/bgZu3f>

• სამუშაოდან განთავისუფლების იძულების კრიმინალიზება

საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 6 მარტს ცვლილებები⁸ შეიტანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლში (ინიციატორი საქართველოს პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი), რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლით დასჯადი ქმედება გახდა **პირის იძულება, დაწეროს განცხადება საკუთარი ინიციატივით სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე**. სასჯელის სახით გათვალისწინებული იქნა ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. ცვლილებების განხორციელებამდე სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება იყო სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, თუმცა აღნიშნული ნორმა არ მოქმედებდა, თუ შრომითი ურთიერთობა წყდება დასაქმებულის მიერ იძულების გზით დაწერილი განცხადების საფუძველზე, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ გავრცელებულ მავნე პრაქტიკას წარმოადგენდა.

„სამართაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება“

სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს დასაქმებულთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. თუმცა მნიშვნელოვანია სრულფასოვნად გახორციელდეს ნორმის პრაქტიკაში გატარება.

• ადვოკატის უფლებამოსილების გაზრდა

საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტმა არაერთი ცვლილება შეიტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ადვოკატის უფლებამოსილების გაზრდას უკავშირდება.

2013 წლის 14 ივნისს პარლამენტმა მხარი დაუჭირა მთავრობის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმად **ადვოკატს ენიჭება უფლება სასამართლოს ნებართვით ჩაატაროს ჩხრეკა-ამოღების საგამოძიებო მოქმედებები**. ცვლილებები 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა.

ამოქმედების ვადასთან დაკავშირებით შენიშნები ჰქონდათ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას. პრეზიდენტმა ასევე მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა კანონპროექტი პარლამენტს. პრეზიდენტის შენიშვნა შეეხებოდა აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლის თარიღს.

„სამართაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

დღეს მოქმედი რედაქცია¹⁰ დაცვის მხარეს ბრალდების მხარის მსგავსად ანიჭებს სასამართლო ნებართვის არსებობისას ჩხრეკა-ამოღების უფლებამოსილებას. წარმოდგენილი ცვლილებები მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია ადვოკატის უფლებამოსილებების გაზრდის თვალსაზრისით.

⁸ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, <https://goo.gl/bh3aLQ>

⁹ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <https://goo.gl/YIbUAV>

¹⁰ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 03/11/2009, <https://goo.gl/9LZw9q>

• სასჯელის უპირობო შეკრებითობის გაუქმება

პარლამენტმა 2013 წლის 15 აპრილს პარლამენტმა 77 ხმით დაამტკიცა ცვლილებები სისხლის საართლის კოდექსში¹¹, რომლითაც გაუქმდა სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპი.

2006 წლიდან მოქმედებდა სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც, დანაშაულთა ერთობლიობის დროს, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდებოდა სასჯელთა მთლიანი შეკრება.

2013 წლის 15 აპრილს განხორციელებული ცვლილებებით დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში მოსამართლე სასჯელთა უპირობო შეკრებითობის ნაცვლად, იხელმძღვანელებს პრინციპით, როცა სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს. კანონის ცვლილებებს აქვს უკუქმედების ძალა იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სასჯელს შეკრებითობის საფუძველზე იხდიან.

დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ანდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება.

ამასთანავე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველოს“ შეფასება

სასჯელთა სრული შეკრების წესის მანკიერი პრაქტიკა განაპირობებდა არაადეკვატურად მძიმე სასჯელების მისჯას და ასევე საპატიმროების გადატვირთულობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნეოდა.

სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპის გაუქმება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის გზაზე გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

2.2 პოზიტიური კანონები და საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს

• საჯარო სამსახურის რეფორმა

2015 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „საჯარო სამსახურის შესახებ“¹² ახალი კანონი. კანონი საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა. კანონის ძირითადი ნორმები 2017 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონით დაინერგა საჯარო მოხელის ყოველწლიური შეფასებისა და სერტიფიცირების სისტემა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მოვალეობის შემსრულებლის მანკიერი ინსტიტუტის აღმოსაფხვრელად. კანონის მნიშვნელოვანი სიახლეა საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების გადამოწმების/მონიტორინგის სისტემის ამოქმედება.

¹¹ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ <https://goo.gl/yfhKeJ>

¹² საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11/11/2015, <https://goo.gl/IRjpsk>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

„საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის მიღება საკადრო პოლიტიკის რეგულირების თვალსაზრისით დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს¹³.

საჯარო სამსახურის რეფორმა უნდა გაგრძელდეს, როგორც კანონმდებლობის დახვეწის, ასევე მისი იმპლემენტაციის თვალსაზრისით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალ კანონში პრობლემურია¹⁴ შემდეგი საკითხები:

1. წარმოდგენილი კანონპროექტი აფართოვებს იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირების (სსიპ)-ების წრეს, რომელზეც არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი. შესაბამისად, აღნიშნული პირები თანამდებობაზე უკონკურსო წესით დაინიშნებიან. იმ პირთა წრის გაფართოება, რომელზეც არ ვრცელდება კონკურსის წესით დანიშვნა წინააღმდეგობაშია საჯარო სამსახურის გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპთან. უკონკურსოდ დანიშვნა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, რათა შემცირდეს დანიშვნის ამ მეთოდთან დაკავშირებული ნეპოტიზმისა და პოლიტიკური პატრონაჟის რისკები;
2. ახალი კანონით გამოსაცდელი ვადის მაქსიმალური ზღვარი 6 თვიდან 12 თვემდე გაზრდა. 12-თვიანი გამოსაცდელი ვადა კვალიფიციურ კადრს შეუმცირებს საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების მოტივაციას, მითუმეტეს თუ გამოსაცდელი ვადის გასვლა ემთხვევა ხელისუფლების ცვლილებას;
3. მნიშვნელოვანია, კანონმა გააფართოვოს ქონებრივი დეკლარაციის წარმდგენ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და მასში ჩართოს ადგილობრივი საკრებულოს წევრები, მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრების მრჩეველები.

• ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. **კოდექსმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა ადგილობრივი თვითმმართველობის არსებულ სისტემაში** - თვითმმართველი ქალაქის სტატუსი დამატებით 7 ქალაქს მიანიჭა; საკრებულოს წევრთა ორი მესამედის მხარდაჭერის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდა პირდაპირი წესით არჩეული გამგებელის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადება და მისი თანამდებობიდან გადაყენება; კოდექსის მნიშვნელოვანი დებულებაა ფისკალური დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაქმებული პირის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილის იმავე თვითმმართველი ერთეულისათვის დატოვებას. ამასთან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მიზნობრივ ტრანსფერებთან ერთად, დამატებით კაპიტალურ ტრანსფერს მიიღებს; კანონით ასევე განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულის ქონება და აღინიშნა, რომ 2017 წლამდე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უნდა გადავიდეს ქონება, რომელიც კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს და წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებას, ან დაყადაღებულია, ანდა ჯერ კიდევ ყოფილი კოლმეურნეობების ბალანსზე იმყოფება.

¹³ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „საჯარო სამსახურის რეფორმის შეფასება: საკადრო პოლიტიკა და ქონებრივი დეკლარაციები“, 09 დეკემბერი 2015, <https://goo.gl/S1o0H3>

¹⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონპროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, 22 სექტემბერი 2015, <https://goo.gl/9rSF7R>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” მიღება წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვითარების თვალსაზრისით, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი¹⁵ კვლავ საჭიროებს გადაწყვეტას, მათ შორის:

1. ამომრჩევლის თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების შემოღება, ნაცვლად ერთმანდატიანისა. საკრებულოებში მანდატების რაოდენობა უნდა გადანაწილდეს კონკრეტული დასახლებების ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად;
2. არ უნდა გაუქმდეს კანონის მოქმედი ნორმა და საინიციატივო ჯგუფებს კვლავ უნდა ჰქონდეთ უფლება, მერობისა/გამგებლის/საკრებულოს არჩევნებში წარადგინონ დამოუკიდებელი კანდიდატები.
3. კოდექსის თანახმად, პირდაპირი წესით არჩეული გამგებელს (მერს) შესაძლებელია უნდობლობა გამოუცხადოს საკრებულოს წევრთა ორი მესამედის მხარდაჭერით. აღნიშნული მუხლი ზღუდავს არჩეული გამგებლებისა და მერების ლეგიტიმაციის ხარისხს და მათ საკრებულოზე დამოკიდებულებას ხდის. ამავდროულად აღნიშნული მექანიზმი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პოლიტიკური მოტივით, კერძოდ, საკრებულომ შეიძლება მოახდინოს უნდობლობის პროცესის ინიცირება იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს უმრავლესობასა და გამგებელს (მერს) შორის იარსებებს პარტიული ან სხვა სახის დაპირისპირება.

• შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები

საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 12 ივნისს ცვლილებები შეიტანა “საქართველოს შრომის კოდექსში”. **ცვლილებების თანახმად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომით ურთიერთობებში დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობა.**

შრომის კანონმდებლობა საქართველოში წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხი იყო, რასაც არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავდა. შრომის კოდექსი უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა დამსაქმებელს და რიგ შემთხვევაში უხეშად ლახავდა დასაქმებულთა უფლებებს.

მე-8 მოწვევის პარლამენტის მიერ შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. **მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებსა და წესს.** გაუქმდა შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველი, რაც გულისხმობდა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ხელშეკრულებიდან გასვლას; შეიზღუდა დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალი მაგ. დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უფლება დამსაქმებელს მაშინ წარმოეშვა თუ დასაქმებული უხეშად არღვევს შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს;
2. დამსაქმებლის მიერ დისკრიმინაცია აიკრძალა არა მარტო შრომით, არამედ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში;
3. **შრომის ხელშეკრულებით უპირატესობა მიენიჭა განუსაზღვრელი ვადით დადებულ შრომით ხელშეკრულებას.** განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დაიდოს;

¹⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „თვითმმართველობის კოდექსის ძირითადი სიახლეები“, 10 მარტი 2014, <https://goo.gl/Q6Gubv>

4. **განისაზღვრა არასრულწლოვანთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა:** 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს.
5. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ განისაზღვრა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნის-თვის აღემატება კვირაში 40 საათს. **დადგინდა დამსაქმებლის ვალდებულება ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურის ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით.**
6. **ცვლილებებით აიკრძალა მასობრივი დათხოვნა,** კერძოდ, 15 კალენდარული დღის განმავლობაში სულ მცირე 100 დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის (მასობრივი დათხოვნის) შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია მასობრივ დათხოვნამდე სულ მცირე 45 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და იმ დასაქმებულებს, რომელთაც უწყდებათ შრომითი ხელშეკრულებები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” აქტიურად იყო ჩართული შრომის კოდექსის ცვლილებების შემუშავების პროცესში. ჩვენს შენიშვნებსა¹⁶ და მოსაზრებებს¹⁷ ვანგდიდით კანონპროექტის ინიციატორსა და შესაბამის კომიტეტებს.

“შრომის კოდექსში” განხორციელებული ცვლილებები მთლიანობაში დადებითად შეიძლება შეფასდეს, განსაკუთრებით ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლების დახვეწის ნაწილში. შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები უარყოფითად შეფასდა ბიზნეს სექტორის ნაწილის მიერ, ვინაიდან იგი ზღუდავდა დამსაქმებლის უფლებებს, თუმცა მეორე მოსმენის შემდეგ მათი შენიშვნების ნაწილი გაითვალისწინა კანონის ინიციატორმა.

შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები საგრძნობლად აუმჯობესებს დასაქმებულთა უფლებებს. კანონპროექტზე მუშაობის პროცესში “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” რამდენიმე შენიშვნა იქნა გაზიარებული, თუმცა კვლავ დარჩა საკითხები, რომელიც დახვეწას საჭიროებს, მაგ. გაფიცვისა და ლოკაუტის უფლებით შეუზღუდავი სარგებლობის გარანტიები, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დადების უფლება იმ დასაქმებულთა გაერთიანებასთან, რომელიც არ არიან პროფესიული კავშირის წევრი და აშ.

- **ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა და გადაზიდვა გაიმიჯნა მათი უკანონო გასაღებისაგან**

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 8 ივლისს მხარი დაუჭირა ცვლილებებს¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საკანონმდებლო ცვლილებების ავტორები იყვნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო ინიციატორი – საქართველოს მთავრობა). **ამ ცვლილებებით ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა და გადაზიდვა გაიმიჯნა მათი უკანონო გასაღებისაგან და შეიცვალა სასჯელი.** კერძოდ, აღნიშნული საშუალებების უკანონო

¹⁶ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „7 შენიშვნა შრომის კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით“, 15 აპრილი 2013, <https://goo.gl/eb50tJ>

¹⁷ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „რა იცვლება შრომის კანონმდებლობაში“, 07 დეკემბერი 2012, <https://goo.gl/28Jm63>

¹⁸ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <https://goo.gl/HbG5iP>

დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისთვის სასჯელის მაქსიმალური ზღვარი 11 წლიდან 6 წლამდე შემცირდა. რაც შეეხება გასაღებას, გამკაცრდა მასზე სასჯელი, რომელიც 6 წლიდან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთით განისაზღვრა. ასევე გამკაცრდა მიდგომა მაკვალიფიცირებულ ნორმებთან დაკავშირებითაც. კანონით განისაზღვრა „ნებაყოფლობით ჩაბარების“ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის და გადაზიდვის უკანონო გასაღებისგან გამიჯვნა წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 24 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც მარიხუანას მოხმარებისთვის პირის დაპატიმრებას ითვალისწინებდა, არაკონსტიტუციურად გამოაცხადა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა, რის გამოც მოსარჩელეს სისხლისსამართლებრივი ბრალი ჰქონდა წარდგენილი და პატიმრობა ემუქრებოდა, არ წარმოადგენს იმდენად დიდ ოდენობას, რომლის შენახვის ფაქტიც გასაღების მიზნის ან გასაღების რეალური საფრთხის არსებობაზე მიუთითებს. ამდენად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს პირადი მოხმარების მიზნით მარიხუანას შეძენა/შენახვისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას.

მიზანშეწონილია სახელმწიფომ გადახედოს ნარკოპოლიტიკას, შეიმუშავოს ახალი სტანდარტების ერთიანი ხედვა და კანონმდებლობა დროულად მოიყვანოს შესაბამისობაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან.

• საკანონმდებლო ცვლილებები სავიზო რეგულაციებთან დაკავშირებით

2014 წლის 5 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 სექტემბერს. **ცვლილებებმა ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვნად გაამკაცრა.** საქართველოს მთავრობამ საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა უმთავრესად ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის დიალოგის ფარგლებში არსებული ვალდებულებებით ახსნა. ახალი კანონით გათვალისწინებულმა ცვლილებებმა გაართულა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში შემოსვლისა და ცხოვრების უფლების მოპოვების პროცედურები. გაუქმდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ვიზის აღების შესაძლებლობა. ქვეყანაში ყოფნის ვადა შეიცვალა და 360 დღიდან ჩამოვიდა 180 დღეზე. მნიშვნელოვნად შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლის მოქალაქეებსაც შეეძლოთ უვიზოდ შემოსულიყვნენ საქართველოში. უვიზოდ შემოსვლის უფლება დაკარგა 13 ქვეყნის, მათ შორის: ერაყის, ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის რამდენიმე ქვეყნის მოქალაქემ.

კანონის ძალაში შესვლის, ანუ 2014 წლის 1 სექტემბრის შემდეგ, კანონში 6 ცვლილება შევიდა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს აზრს, რომ კანონმა ვერ გაითვალისწინა ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები.

2014 წლის ნოემბერში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ საკანონმდებლო წინადადებით¹⁹ მიმართა საქართველოს პარლამენტს, რაც ითვალისწინებდა ცვლილებების

შეტანას კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“

საქართველოს პარლამენტმა თითქმის სრულად „გაიზიარა საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მოსაზრებები და ასახა კანონის 2015 წლის 8 მაისის ცვლილებებში. **აღნიშნული ცვლილებებით იმავე წლის დეკემბრიდან კვლავ შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოეთის მოქალაქეებისთვის ვიზის აღება. მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლის და საქართველოში სრული 1 წლის განმავლობაში ყოფნის უფლება მიეცათ.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

სავიზო რეგულაციებთან დაკავშირებული ცვლილებები ორ ძირითად ეტაპად შეიძლება დავყოთ: 2014 წლის 5 მარტს მიღებული კანონი და ამავე კანონში 2015 წლის 8 მაისის შეტანილი ცვლილებები.

2014 წლის 5 მარტს მიღებულმა კანონმა უამრავი ნეგატიური შედეგი²⁰ გამოიღო, გაუმართლებელი ბარიერები დაუწესა საქართველოში ტურისტული, ოჯახის გაერთიანების თუ მუშაობის მიზნით ჩამოსვლის მსურველ უცხოელებს და ქვეყნის საინვესტიციო გარემოც დააზარალა.

2015 წლის 8 მაისის განხორციელებული ცვლილები დადებითად უნდა შეფასდეს²¹. ცვლილებებით მნიშვნელოვნად გამარტივდა გაუმართლებლად გამკაცრებული სავიზო რეგულაციები, რაც ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ტურისტული მიზმიდველობის გაზრდის თვალსაზრისით. თუმცა კანონი კვლავ საჭიროებს დახვეწას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაუქმდეს კანონის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის საფუძველია უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად პირის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონელობის შესახებ. ვინაიდან ახალი კანონით ბინადრობის მოწმობის მიღების საფუძველს ვიზა წარმოადგენს, პირს ვიზის აღების დროს უკვე აქვს გავლილი შესაბამისი შემოწმება. აღსანიშნავია, რომ ამ ნორმის ბოროტად გამოყენებამ უახლოეს წარსულში სერიოზული პრობლემები შეუქმნა საქართველოში სწავლის, მუშაობისა და ცხოვრების მსურველ უცხოელ მოქალაქეებს, მათ შორის – ინვესტორებს.

2.3 ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებები

• ეროვნული ბანკისათვის საზედამხედველო ფუნქციის ჩამორთმევა

2015 წლის 3 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები²² შეიტანა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში. **ეროვნულ ბანკს ჩამოერთვა საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია და გადაეცა სააგენტოს, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბდა.** სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ჩართული იყო კანონპროექტის განხილვაში და შენიშვნები გაუგზავნა საქართველოს პარლამენტს. კანონპროექტი კრიტიკულად შეაფასეს საპარლამენტო ოპოზიციამ, საქართველოს ბანკების ასოციაციამ, ბიზნესომბუდსმენმა, სამოქალაქო

²⁰ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „საქართველოს ახალი საიმპიგრაციო პოლიტიკის გამოწვევები“, 27 ოქტომბერი 2014, <https://goo.gl/66JWZZ>

²¹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, სავიზო პოლიტიკის გადახედვის მეოთხე მცდელობა, 27 მარტი 2015, <https://goo.gl/bBU2mO>

²² საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, <https://goo.gl/0inaUL>

სამოგადოების წარმომადგენლებმა, ასევე მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა. არასამთავრობო ორგანიზაციები უარყოფითად აფასებდნენ

ამ რეფორმას²³. მათ ერთობლივი განცხადებაც კი გაავრცელეს, სადაც ხელისუფლებას მიუთითებდნენ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე. მიუხედავად ამისა, პარლამენტს კანონპროექტში არსებითი ცვლილება არ შეუტანია. პრეზიდენტმა აღნიშნულ კანონპროექტთან პაკეტთან დაკავშირებით გამოიყენა ვეტოს უფლება, რომლის გადალახვას მხარი 81-მა დეპუტატმა დაუჭირა. 2015 წლის 22 სექტემბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს სარჩელით „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილებების კონსტიტუციურობის შესახებ. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 12 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერით შეაჩერა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ მუხლების მოქმედება, რომლებიც ეროვნული ბანკის სამედამხედველო ფუნქციას ზღუდავდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება“

ორგანიზაცია ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე მიუთითებდა კანონპროექტის უარყოფით მხარეებზე. ამასთან ერთად „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ სასამართლოს მეგობრის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა საკუთარი მოსაზრებები კანონის გასაჩივრებული მუხლების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები დაკავშირებულია შემდეგ პრობლემებთან:

- ეროვნული ბანკი ინარჩუნებს საფინანსო სექტორის სტაბილურობის ხელშეწყობის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, მაგრამ აღარ აქვს შესაბამისი ბერკეტები და ინსტრუმენტები;
- იქმნება საფინანსო მედამხედველობის სააგენტო, რომელიც სრულად ითავსებს ეროვნული ბანკის საფინანსო სექტორზე მედამხედველობის ფუნქციას, მაგრამ არ არის ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში არსებული ერთეული;
- ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, თუმცა სააგენტო ეროვნული ბანკის წინაშე ანგარიშვალდებული არ არის;
- ილახება ეროვნული ბანკის კონსტიტუციით გარანტირებული დამოუკიდებლობა, რადგან ბანკი ვალდებული ხდება გარკვეული მოქმედებები არა მიზანშეწონილობის, არამედ სააგენტოს მიმართვის საფუძველზე განახორციელოს. სამართლებრივი ნორმების ანალიზი ადასტურებს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რადგან ავიწროებს ეროვნული ბანკის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას და მას მხოლოდ ფორმალურ უფლებამოსილებებს უტოვებს.

• კერძო საკუთრებიდან პირს საპოლიციო გამოსახლების გაუქმება

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 11 დეკემბერს დიდი დისკუსიის შემდეგ მიიღო იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები (ავტორი: პარლამენტის წევრი პაატა კიკნაველიძე), რომლებიც ითვალისწინებდა სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში, ასევე „პოლიციის შესახებ“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონებში ცვლილებების შეტანას. **აღნიშნული ცვლილებებით გაუქმდა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც პირს უფლებას აძლევდა სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე უძრავი ნივთების უკანონო/არამართლზომიერი მფლობელების გამოსახლების მოთხოვნით პოლიციისთვის მიემართა, თუ სავარაუდო ხელმყოფი არ ფლობდა საკუთრების, მართლზომიერი**

²³ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ეროვნული ბანკის შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილების შესახებ, 29 მაისი 2015, <https://goo.gl/vmQM9c>

მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტს. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად ცვლილებების საჭიროება გამოწვეული იყო არსებითი ხასიათის სამართლებრივი ხარვეზებით, რაც ავტორის აზრით 2007 წლის შემდეგ ახასიათებდა არსებულ არასასამართლო, მათ შორის, საპოლიციო წესით უძრავი ქონებიდან პირთა გამოსახლების ინსტიტუტს.

კანონპროექტი კრიტიკულად შეაფასეს საპარლამენტო ოპოზიციამ, საქართველოს ბანკების ასოციაციამ, ბიზნესომბუდსმენმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა (მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“²⁴), ასევე მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა. წარმოდგენილმა ინიციატივამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ბიზნესსექტორში. კანონპროექტი უარყოფითად შეაფასა სახალხო დამცველმაც. განხილვის პროცესში კომიტეტის წევრები დახურულ შეხვედრაზე შეხვედნენ ბიზნეს ასოციაციის და აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებს. კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას ცვლილება შევიდა ინიცირებულ ვარიანტში, რომლის მიხედვითაც გამონაკლისის სახით შესაძლებელია პოლიციის მეშვეობით გამოსახლება, თუ სახეზეა ბინაში ან სხვა საკუთრებაში თვითნებური შეჭრის დასაბუთებული ვარაუდი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეფასება

ახალი რეგულაციები დაუსაბუთებლად ზღუდავს კანონიერი მესაკუთრის უფლებას. კანონით გათვალისწინებული წესი უარყოფით შედეგებს გამოიწვევს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, სალიზინგო და დეველოპერული კომპანიებისა და უძრავი ქონების ბიზნესში ჩართული მოქალაქეებისთვის, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას მოახდენს ეკონომიკის ამ სექტორების განვითარებაზე²⁵. უარყოფითი შედეგების რისკები ვერ შეამცირა კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვის დროს განხორციელებულმა ცვლილებებმა. იმის მიუხედავად, რომ კანონის მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს უძრავი ქონების მფლობელთა, კონკრეტულად კი იპოთეკართა უფლებების დაცვა, რეალურად ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება. კანონის ამოქმედების შემდეგ უძრავი ქონების მფლობელ პირებს მხოლოდ გარკვეული დრო მიეცემათ, სანამ მათი გამოსახლება სასამართლო წესით მოხდება. ასევე მნიშვნელოვნად გაიზრდება სასამართლოსთვის მიმართვების რაოდენობა, რისი ერთადერთი შედეგიც პირის გამოსახლების გაჭიანურება იქნება. შედეგად სასამართლოები კიდევ უფრო გადაიტვირთება, რაც უარყოფითად აისახება სხვა საქმეების განხილვის ვადებზე.

• ნოტარიუსის საქმიანობის შესახებ კანონში ცვლილებები

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 10 დეკემბერს მიიღო საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული (ავტორი: იუსტიციის სამინისტრო) კანონპროექტები „ნოტარიატის შესახებ“ კანონსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე. **კანონის ცვლილების თანახმად, ახლად დანიშნული ნოტარიუსი პირველი 3 წლის განმავლობაში სანოტარო საქმიანობას განახორციელებს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის. ნოტარიუსობის კანდიდატის უარი შესაბამის დასახლებაში განწესების შესახებ გამოიწვევს მის ნოტარიუსად დანიშვნაზე უარის თქმას.** ნოტარიუსს საქმიანობის ამ პერიოდის განმავლობაში სათანადო ფინანსურ დახმარებას გაუწევს ნოტარიუსთა პალატა. კანონში დაკონკრეტებული არ არის, რა სახის ფინანსურ დახმარებაზეა საუბარი.

²⁴ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „საკუთრებიდან გამოსახლების ახალი ინიციატივა საკუთრების უფლებას დაუსაბუთებლად ზღუდავს“, 29 ოქტომბერი 2015, <https://goo.gl/OrtyBj>

²⁵ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „რა საფრთხეებს შეიცავს კერძო საკუთრებიდან არამართლმოქმედი მფლობელის გამოსახლების ინიციატივა“, 5 ივნისი, 2015, <https://goo.gl/ecfUzu>

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით ფინანსურ დახმარებაში იგულისხმება მცირეშემოსავლიანი ნოტარიუსებისთვის ყოველთვიური ასლარიანი დახმარების გაცემა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ბინის ქირის საფასურის ანაზღაურება და საჭირო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

სანოტარო მომსახურებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები გაუმართლებელ შეზღუდვებს აწესებს. არსებული შინაარსით „ნოტარიატის შესახებ“ კანონი ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას – ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილის სანოტარო მომსახურებით უზრუნველყოფას, რომელიც ამჟამად ამ მომსახურების მიღების შესაძლებლობას მოკლებულია. სახელმწიფოს მიერ ნოტარიუსთა საქმიანობაში უხეში ჩარევა ამ დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვან გრძელვადიან რისკებს წარმოშობს. კანონით შემოთავაზებული რეგულირება წარმოადგენს ნოტარიუსთა შრომით უფლებებში უხეშ ჩარევას.²⁶

• შუღლის გაღვივების კრიმინალიზება

2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც **რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, ისჯება ჯარიმით ორასიდან ოთხას ლარამდე ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით.** იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

კანონპროექტი ინიცირებისთანავე უარყოფითად შეფასდა სამოქალაქო სექტორის მიერ.²⁷ კანონპროექტის ინიციატორმა საკომიტეტო განხილვების დროს გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნები, რის შედეგადაც შეიცვალა ნორმის ფორმულირება. დასჯადი ქმედების დეფინიციას დაემატა „ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე“. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით საკანონმდებლო ცვლილებები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, **სახელმწიფოს მცდელობა, მოახდინოს გამოხატვის თავისუფლების რეგულირება, წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლების განვითარებისთვის.**

²⁶ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“: „ახალი კანონპროექტი ნოტარიული მომსახურების გამართულ ფუნქციონირებას საფრთხეს შეუქმნის“, 15 ოქტომბერი, 2015, <https://goo.gl/XJS8pL>

²⁷ არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება შუღლის გაღვივების თაობაზე ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით, 23 იანვარი 2015, <https://goo.gl/jAkVnD>

• “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებები

2016 წლის 3 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონში ცვლილებებს.²⁸ კანონპროექტის ინიციატორი იყო ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. **ცვლილებები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შეეხებოდა, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის პლენუმისათვის გადაცემის, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის, მისი ოფიციალურად გამოქვეყნების საკითხებს.** საკანონმდებლო ინიციატივას გამოეხმაურა კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სადაც აღინიშნა ის ძირითადი პრობლემური საკითხები რაც კანონპროექტში იყო მოცემული, კერძოდ:

- გადაწყვეტილების მისაღებად მაღალი კვორუმის დადგენა (სრული შემადგენლობის 2/3) რაც ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის ვენეციის კომისიის შეფასებებს.
- საქმის პლენუმისათვის გადაცემის ახალი წესი - კოლეგიის თითოეული მოსამართლე, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილი იქნება, მოითხოვოს საქმის პლენუმისადმი გადაცემა, რაც საფრთხეს უქმნის კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების დროულად და ეფექტურად მიღებას.
- სასამართლოს წევრის საქმიანობის შეწყვეტის წესი - სასამართლოს წევრის 10-წლიანი ვადის ამოწურვისას, იგი ავტომატურად წყვეტს საქმიანობას, რაც გულისხმობს იმას, რომ წინა შემადგენლობის მიერ არსებითად განხილული საქმეები, საწყის ეტაპზე უნდა დაბრუნდეს, რაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სპეციფიკის გათვალისწინებით, სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეებს მნიშვნელოვნად დააბარალებს.

კანონპროექტის განხილვისას ალტერნატიული წინადადებები იქნება წარმოდგენილი ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ და უმცირესობის მხრიდან.²⁹

პარლამენტმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტი მიიღო სამივე მოსმენით, რის შემდეგაც პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება და მოტივირებული შენიშვნებით კანონი დაუბრუნა პარლამენტს. პარლამენტმა გაითვალისწინა პრეზიდენტის შენიშვნები, რომელიც შეეხებოდა გადაწყვეტილებისათვის სავალდებულო კვორუმს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანონპროექტს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

პრეზიდენტის მიერ ვეტოში გამოთქმული შენიშვნების კანონში ასახვის შემთხვევაშიც კი, შენარჩუნდა მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რაც არსებითად აზიანებს კონსტიტუციური წესრიგის განმტკიცებას და საკონსტიტუციო სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებას.

პრეზიდენტის შენიშვნები, მხოლოდ ნაწილობრივ და არასრულყოფილად ასახავდა საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებულ პრობლემურ საკითხებს. მაგალითად კვლავ შენარჩუნდა ორგანული კანონის კონსტიტუციურობის განხილვა მაღალი კვორუმით, რაც ეფექტურობას უკარგავს კონსტიტუციურ კონტროლს. შენიშვნებში ასევე არ მოხვდა ისეთი კრიტიკული საკითხი როგორიცაა ნორმის მოქმედების შეჩერება მხოლოდ სასამართლოს პლენუმის მიერ.³⁰

²⁸ საქართველოს კანონის პროექტები: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, <https://goo.gl/GwCR2A>

²⁹ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ <http://info.parliament.ge/#law-drafting/11441>

³⁰ კოალიცია საკონსტიტუციო სასამართლოსთან დავაშირებულ კანონპროექტებზე ვეტოს დადებას ეხმაურება, 03 ივნისი 2016, <https://goo.gl/BEh8u9>

- **“კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებები**

2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები³¹ შეიტანა “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” კანონსა და მისგან გამომდინარე კანონებში. ცვლილებების თანახმად, **მნიშვნელოვნად გაფართოვდა საგადასახადო ორგანოების უფლებამოსილება, კომერციული ბანკებიდან პირის თანხმობის გარეშე მოიპოვონ მის შესახებ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია.** „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, საქართველოს ბანკების ასოციაციასთან ერთად, საქართველოს პარლამენტს შენიშვნები წარუდგინა. შენიშვნები ეხებოდა პირის პერსონალური მონაცემების დაცვასა და საგადასახადო ორგანოს დისკრეციის შეზღუდვას. შენიშვნების ნაწილი პარლამენტმა გაითვალისწინა. თუმცა კანონმდებლებმა არ გაითვალისწინეს შენიშვნა, რომელიც ეხებოდა პირის უფლებას, გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუკი საგადასახადო ორგანო, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ითხოვს პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას, სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს პროცესზე ამ პირის დასწრების გარეშე. ამდენად, პირისათვის უცნობი რჩება მისი კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ საქმის სასამართლოში განხილვის ფაქტი და შესაბამისად, მას არც გასაჩივრების უფლება ეძლევა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ შეფასება

მიღებული ცვლილებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს და დაცვის უფლებას, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებას სამართლიან სასამართლოზე, რომელიც მოიცავს პირის უფლებას გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში - იდავოს მინიმუმ სასამართლოს ორ ინსტანციაში.

- **მორატორიუმი უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით**

2013 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილება “სასოფლო სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ” კანონში, რომლის თანახმად **უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შეძენასა და მემკვიდრეობით მიღებაზე დროებითი მორატორიუმი გამოცხადდა 2014 წლის დეკემბრამდე.**

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით³² არაკონსტიტუციურად იყო ცნობილი კანონის ნორმა, რომელიც უცხოელს უკრძალავდა სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენას ან მემკვიდრეობით მიღებას. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით 2013 წლის სექტემბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გაასაჩივრა³³ დროებითი სამართლებრივი შეზღუდვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით „მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დროებითი შეზღუდვის დაწესება არაკონსტიტუციურად ცნო.

³¹ საქართველოს კანონის პროექტი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და თანმდევი კანონპროექტები <http://info.parliament.ge/#/law-drafting/6581>

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

³³ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „უცხოელებისთვის მიწის შეძენის აკრძალვა: კონსტიტუციის დარღვევა და საინვესტიციო გარემოზე უარყოფითი გავლენა“, 19 ივლისი 2013, <https://goo.gl/eYMKfy>

„სამართაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება უცხოელებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმსა და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა, რითაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს. ამ მუხლის თანახმად, საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება დაუშვებელია. ეს ნორმა ეხება როგორც საქართველოს, ასევე – უცხო ქვეყნის მოქალაქეს. აღნიშნულის შემდგომ შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. კერძოდ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

• მოწმის დაკითხვის ახალი წესი

2015 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეიტანა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც დადგინდა მოწმის დაკითხვის ახალი წესი. სისხლის სამართლის პროცესში ცვლილება, რომელიც მოწმეთა მხოლოდ სასამართლო პროცესზე დაკითხვას ითვალისწინებდა, 2009 წელს იქნა მიღებული, თუმცა მიღების შემდეგ მისი ამოქმედება შვიდჯერ გადავადდა. 2015 წელს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობაშიც პარლამენტისა და მთავრობის წევრებთან ერთად არასამთავრობო სექტორიც მონაწილეობდა. სამუშაო ჯგუფმა ვერ შეძლო შესაბამისი კანონპროექტის შემუშავება. საბოლოოდ საკანონმდებლო ორგანომ მხარი დაუჭირა მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტს. **კანონით გათვალისწინებულია მოწმის მიერ ნებაყოფლობით გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში მისი იძულების წესით მაგისტრანტ მოსამართლესთან დაკითხვის შესაძლებლობა. ეს უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ ბრალდების მხარეს. მაგისტრანტ მოსამართლესთან დასაკითხად ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ პირი ფლობს საქმის გარემოებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას.** მოსამართლე აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას, თუ სახეზეა შესაბამისი მტკიცებითი სტანდარტი – საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ დასაკითხი პირი მართლაც ფლობს საჭირო ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის გარემოებებზე. კანონპროექტში ასევე განმარტებულია აღნიშნული მტკიცებითი სტანდარტი. განმარტების მიხედვით ის სახეზეა მაშინ, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი.

„სამართაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

„სამართაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად იყო ჩართული კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებში. საკანონმდებლო ცვლილებები შეფასდა „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კოალიციასთან ერთად.³⁴ კოალიციის შეფასებით იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცვლილებებით მკვიდრდება საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისთვის პრინციპულად შეუთავსებელი ელემენტები, უარესდება დაცვის მხარის სამართლებრივი მდგომარეობა და ზოგადად საფრთხე ექმნება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებს. ამ წესის ამოქმედება მომავალში არაერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ და პრაქტიკულ პრობლემას შექმნის.

³⁴ კოალიცია სისხლის სამართლის პროცესში მოწმეთა დაკითხვის წესის გარშემო მიმდინარე დისკუსიას ეხმაურება, 20 აგვისტო 2015, <https://goo.gl/yKZtPl>

2.4 განხორციელებული რეფორმები მნიშვნელოვანი ხარვეზებით

• რეფორმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით

2014 წელს მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების და სისხლის სამართლის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით. მოსმენებთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტის მიღება შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - 2014 წლის 1 აგვისტო; მეორე ეტაპი - 2014 წლის 30 ნოემბერი.

2014 წლის 1 აგვისტოს მიღებულ ცვლილებებზე მუშაობა დაიწყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების (ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე და ლიკა საჭაია) საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე და მიმდინარეობდა წელიწადნახევარი სამოქალაქო საზოგადოებისა და ევროპელ ექსპერტთა ჩართულობით.

საკანონმდებლო ცვლილებები მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის პროცესში პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების უფლებების დაცვის კუთხით.

ცვლილებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: ფარული საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დარეგულირდა; განისაზღვრა პირთა წრე და დანაშაულთა კატეგორია, რომლის ჩადენის შემთხვევაშიც შესაძლებელი გახდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების წარმოება, აგრეთვე ამ მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დაცვისა და განადგურების რეჟიმი; გაიზარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილება და დამოუკიდებლობის გარანტიები.

2014 წლის 1 აგვისტოს მიღებულ კანონში **ღიად დარჩა საკითხი თუ რა წესით უნდა მოხდეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ კომუნიკაციების კომპანიებიდან რეალურ დროში ინფორმაციის მიღება, ვის ხელში უნდა იყოს ე.წ. მოსმენების გასაღები.**

2014 წლის 30 ნოემბერს პარლამენტმა 82 ხმით 13-ის წინააღმდეგ, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შემდეგ, მიიღო ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის ინიციატივა, რომლის თანახმად ე.წ. მოსმენების გასაღები კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში დარჩა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს დარჩა უფლება განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიაში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და 2 წლით შენახვა. კამპანია “ეს შენ გეხებაში” ჩართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს. საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 16 აპრილს დააკმაყოფილა სარჩელი და სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება“

საფულის საგამოძიებო მოქმედებების რეფორმის პირველი ეტაპი, რომელიც 2014 წლის 1 აგვისტოს ცვლილების მიღებით დასრულდა, დადებითაც იქნა შეფასებული³⁵ ჩვენი ორგანიზაციის და კამპანია “ეს შენ გეხებაში” მონაწილე სხვა ორგანიზაციების მიერ. **ცვლილებებით გაუმჯობესდა პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში.** მნიშვნელოვანი იყო რეფორმა კვლავ ამ მიმართულებით გაგრძელებულიყო და კანონში ღიად დარჩენილი ე.წ. ‘გასაღების საკითხი’ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიების შესაბამისად გადანაცვლებულიყო.

³⁵ „ეს შენ გეხებაში“ განცხადება ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, <https://goo.gl/h11ixl>

ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეფორმის მეორე ეტაპი, რომელიც 2014 წლის 30 ნოემბრის ცვლილების მიღებით დასრულდა საგრძნობლად აუარესებს საკანონმდებლო ჩარჩოს და ქმნის თითოეული მოქალაქის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის ყოვლად გაუმართლებელ რისკებს შემდეგი ძირითადი მიზეზების³⁶ გამო:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში რჩება სერვერები, ე.წ. შავი ყუთები
- ფარული მოსმენების განხორციელების პროცესში, ინსპექტირების გარეშე რჩება ინტერნეტიდან პერსონალურ მონაცემთა მოპოვება
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უფლება რჩება სასამართლოს ნებართვის გარეშე ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან განახორციელოს შეუზღუდავი მოცულობისა და კანონით განუსაზღვრელი შინაარსის მონაცემთა კოპირება.

• სასამართლო რეფორმა

მერვე მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული მასშტაბური ცვლილებები, რომელიც სასამართლო სისტემას შეეხო სამ ეტაპად (ე.წ. „ტალღად“) განხორციელდა. პირველ და მეორე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებები მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ, მესამე ეტაპის საკანონმდებლო ცვლილებების მიღების პროცესი გაჭიანურდა და მე-8 მოწვევის პარლამენტმა ვერ შეძლო მისი მიღება.

მართლმსაჯულების რეფორმის პირველი ტალღის³⁷ ფარგლებში შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი: განისაზღვრა, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პირები საბჭოში უნდა იყვნენ არა დეპუტატები, არამედ კონკურსის საფუძველზე შერჩეული პოლიტიკურად ნეიტრალური პირები; გაიზარდა მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს-მოსამართლეთა კონფერენციის როლი; გაუმჯობესდა სასამართლო სხდომების საჯაროობა; მოხდა სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის დისტანცირება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან; ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დისტანცირება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან.

მართლმსაჯულების მეორე ტალღის³⁸ ფარგლებში ძალაში შევიდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება კანონით დადგენილი ასაკის (65 წელი) მიღწევამდე. მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე კანონით განისაზღვრა მოთხოვნა ყველა მოსამართლის 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ. აღნიშნული ცვლილების თანახმად გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეებს ყოველი წლის ბოლოს იუსტიციის უმაღლეს საბჭო შეაფასებს და მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

სასამართლო რეფორმის **მესამე ტალღა** პირველადი რედაქციის წარდგენის შემდეგ რამდენჯერმე არსებითად შეიცვალა, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ზოგიერთი პოზიტიური ინიციატივა. მიუხედავად ამისა, კანონპროექტი შეიცავს არაერთ ცვლილებას, რომელთა დროულად მიღებაც კრიტიკულად აუცილებელია სასამართლო სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მათ შორისაა: საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება, რომელიც საქმეთა შემთხვევითობის პრინციპით

³⁶ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „9 საფრთხე, რასაც ფარული მოსმენების ახალი კანონმდებლობა თქვენი პირადი ცხოვრების უფლებას უქმნის“, 23 დეკემბერი 2014, <https://goo.gl/1s2Rbl>

³⁷ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „სასამართლო სისტემის მდგომარეობის შეფასება (ოქტომბერი 2012-აგვისტო 2016)“, 20 სექტემბერი 2016, <https://goo.gl/FW4TLt>

³⁸ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „სასამართლო სისტემის მდგომარეობის შეფასება (ოქტომბერი 2012-აგვისტო 2016)“, 20 სექტემბერი 2016, <https://goo.gl/FW4TLt>

განაწილებას გულისხმობს და სასამართლოთა თავმჯდომარეებს ართმევს ამ პროცესში ჩარევის ბერკეტებს; მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას ინტერესთა კონფლიქტის საკითხის დარეგულირება; მოსამართლეთა მივლინების წესის დახვეწა და ამ მიმართულებით მოსამართლეებისთვის დამატებითი გარანტიების შექმნა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება:

სასამართლო რეფორმის პირველი და მეორე ტალღა დადებითად უნდა შეფასდეს მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილად არ ასახავდა სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებს.

როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე ვენეციის კომისიის მხრიდან ცალსახად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესის ამოქმედებამ. მოსამართლის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას შეისწავლება და მხედველობაში მიიღება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.

მართლმსაჯულების რეფორმის “მესამე ტალღის” კანონპროექტების საბოლოო რედაქცია სრულად ვერ პასუხობს სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია³⁹, **რომ ის მინიმალური პოზიტიური ცვლილებები რასაც კანონპროექტი ითვალისწინებს დაყოვნების გარეშე ამოქმედდეს.** ამასთან, სამომავლო რეფორმის ფარგლებში უკიდურესად მნიშვნელოვანია ცვლილებებს დაექვემდებაროს: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, მოსამართლეთა დანიშვნის, კარიერული წინსვლისა და მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

• პროკურატურის რეფორმა

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 18 სექტემბერს მიიღო „პროკურატურის შესახებ“ კანონში საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები.⁴⁰ ცვლილებების მიზანი იყო პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა საპროკურორო საბჭოსა და პროკურორთა კონფერენციის შექმნის გზით, პროკურატურის ანგარიშვალდებულების ნათლად განსაზღვრა, მთავარი პროკურორის დანიშვნის/გათავისუფლების წესის და კრიტერიუმების რეგულირება. **განხორციელებული ცვლილებების შედეგად მთავარ პროკურორს საქართველოს პარლამენტი ირჩევს, ჩამოყალიბდა ახალი უწყება – საპროკურორო საბჭო, რომლის ძირითადი ფუნქციებია მთავარი პროკურორის დანიშვნასა და გათავისუფლებაში მონაწილეობა. საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისგან. საბჭოს თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი; საბჭოს 4 წევრი აირჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

მთავარი პროკურორის ანგარიშვალდებულება საქართველოს პარლამენტის წინაშე დადებითად უნდა შეფასდეს. ასევე პოზიტიური ცვლილებაა საპროკურორო საბჭოს შექმნა. მიუხედავად ამისა კანონი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს, რომელიც უარყოფითად აისახება სისტემის რეფორმაზე.⁴¹

³⁹ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „სასამართლო სისტემის მდგომარეობის შეფასება (ოქტომბერი 2012-აგვისტო 2016)“, 20 სექტემბერი 2016, <https://goo.gl/FW4TLt>

⁴⁰ საქართველოს კანონის პროექტები „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ <https://goo.gl/IBZgmo>

⁴¹ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის ეხმაურება პარლამენტის მიერ პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების მესამე მოსმენით მიღებას, 25 სექტემბერი 2015, <https://goo.gl/QqV3Ha>

- მთავარი პროკურორობის კანდიდატის შერჩევის საკვალიფიკაციო/პროფესიული კრიტერიუმები, დანიშვნისა და განთავისუფლების წესი ვერ უზრუნველყოფს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე საუკეთესო კანდიდატის პროფესიული ნიშნით შერჩევას და მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის პროცესის აპოლიტიკურ ხასიათს. მაგ. მთავარი პროკურორობის კანდიდატს პარლამენტი ამტკიცებს ხმების უბრალო უმრავლესობით, რისთვისაც საკმარისია მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა.
- ეფექტიანი და დამოუკიდებელი საპროკურორო საბჭოს არსებობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი დაკომპლექტების წესზე. კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ საპროკურორო საბჭოში შეირჩეს მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალისთვის მისაღები კანდიდატი;
- იუსტიციის მინისტრი რჩება საპროკურორო საბჭოს ხელმძღვანელად, ინარჩუნებს მთავარი პროკურორობის კანდიდატების ერთპიროვნულად ნომინირების უფლებამოსილებას და ასევე აქვს მნიშვნელოვანი უფლებები საპროკურორო საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;
- კანონის განახლებული რედაქცია კვლავ იწვევს ისეთ სისტემურ პრობლემებს, როგორიცაა მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების ზედმეტად პოლიტიზირებული პროცედურები, აღნიშნულ პროცესში მონაწილე დროებითი პროკურორის შერჩევის/დანიშვნის ხარვეზიანი მექანიზმები, მის მიერ საქმის წარმოების ბუნდოვანი ხასიათი, მთავარი პროკურორის არასაკმარისი სამართლებრივი გარანტიებით აღჭურვა და მთლიანი პროცესიდან სასამართლოს ჩართულობის გამორიცხვა. ასევე ბუნდოვანია მთავარი პროკურორის დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურები.

• შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 8 ივლისს მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის ინიციატივას⁴² და მიიღო კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, ასევე ცვლილებები შეიტანა სხვა შესაბამის მოქმედ კანონებში. ცვლილებების მიზანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა და შინაგან საქმეთა სამინისტროსგან უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფა. შეიქმნა ახალი სტრუქტურა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელსაც აქვს ანალიზის, სამართალდაცვის, ძალის გამოყენების პრევენციის და გამოძიების ფუნქცია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიესალმება შინაგან საქმეთა სამინისტროდან უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფას, რადგან ერთი სტრუქტურის ხელში თავმოყრილი ჭარბი ძალაუფლება ყოველთვის წარმოშობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკს. **თუმცა „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონი არის კარგი იდეის ცუდად განხორციელების მაგალითი, ვინაიდან ერთი ძლევამოსილი სამინისტროს დაშლის შედეგად იქმნება ორი სტრუქტურა – ჭარბი ძალაუფლებით, დუბლირებული ფუნქციებით და უფლებამოსილების გადამეტების მაღალი რისკით.**⁴³

⁴² საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ და თანმდები კანონპროექტები <https://goo.gl/zkM6F4>

⁴³ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის შეფასება, 9 30 ივლისი, 2015, <http://goo.gl/knPpzb>

რეფორმასთან დაკავშირებით ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი შენიშვნებია:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჭარბი ძალაუფლებით, გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტებით და ინფორმაციის მოპოვების ფარული მეთოდებით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და ადამიანის უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით;
- არ არსებობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გარე კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები, რის გამოც იქმნება დახურული უწყება, მასში თავმოყრილი უამრავი პერსონალური მონაცემებით და კონტროლის არარსებული მექანიზმებით;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უნარჩუნდება უფლებამოსილება, ჰყავდეს მუდმივი წარმომადგენელი როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ისე კერძო სტრუქტურებში. ე. წ. „ოდერების“ ინსტიტუტი რეფორმას კი არ საჭიროებდა, არამედ აუცილებელი იყო უარის თქმა ამ მაგნე პრაქტიკაზე;
- ტექნიკური მოწყობილობები, რომელთა მეშვეობითაც ფარული მოსმენები ხორციელდება და დაკავშირებულია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მაღალ რისკთან, კვლავ იმ ორგანოს ხელში რჩება, რომელსაც საგამოძიებო, პრევენციული და სამართალდაცვითი მიზნები ამოძრავებს და შესაბამისად პროფესიულად არის დაინტერესებული, მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია.

2.5 პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც არ მიიღო პარლამენტმა

- **ფარული მოსმენა/მიყურადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები**

ფარული საგამოძიებო მოქმედებების სფეროში რეფორმის პირველი და მნიშვნელოვანი ნაწილი 2014 წლის 1 აგვისტოს მიღებული ცვლილებებით დასრულდა. თუმცა კვლავ **ღიად დარჩა საკითხი თუ რა წესით უნდა მოხდეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ კომუნიკაციების კომპანიებიდან რელურ დროში ინფორმაციის მიღება, ვის ხელში უნდა იყოს ე.წ. მოსმენების გასაღები.** ცვლილებების თანხმად, აღნიშნული საკითხი საქართველოს პარლამენტს 2014 წლის 1 დეკემბრამდე უნდა დაერეგულირებინა კანონმდებლობით.

2014 წლის 30 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა 82 ხმით 13-ის წინააღმდეგ, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შემდეგ, მიიღო ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის ინიციატივა, რომლის თანახმად ე.წ. მოსმენების გასაღები კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში დარჩა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს დარჩა უფლება განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიაში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და 2 წლით შენახვა.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების განხილვის პარალელურად საქართველოს პარლამენტში განიხილებოდა ერთი საკანონმდებლო ინიციატივა და ერთი საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების ტექნიკური განხორციელების სხვა გზას ითვალისწინებდა:

1. საქართველოს პარლამენტის წევრის ვახტანგ ხმაღაძის საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, ე.წ. „გასაღები“ ანუ სასურველი აბონენტის კომუნიკაციაზე ტექნიკური დაშვების უფლება შინაგან საქმეთა სამინისტროდან ელექტრონული კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელში უნდა გადასულიყო. კანონპროექტის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების კომისია იქნებოდა უფლებამოსილი სუბიექტი სასამართლო ნებართვის მიღების შემდეგ კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციაზე დაეშვა საგამოძიებო ორგანოები.

2. არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების საკანონმდებლო წინადადება (ლიკა საჭაია, ეკა გიგაური, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, კახა კოჭორიძე) ითვალისწინებდა ე.წ. გასაღების გამოტანას შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებისა და სასამართლოსთვის გადაცემას. ამ შემთხვევაში ამოქმედდებოდა ე.წ. ორი გასაღების სისტემა და შინაგან საქმეთა სამინისტრო მაქსიმალურად დისტანცირებული იქნებოდა მოსმენების განხორციელების ტექნიკური პროცესისაგან.

ვახტანგ ხმაღაძის საკანონმდებლო ინიციატივამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა პლენარულ სხდომაზე. ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციათა საკანონმდებლო წინადადება არ იქნა მოწონებული იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ და შესაბამისად, პლენარულ სხდომაზე არ მომხდარა მისი განხილვა.

„სამართაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ ხმაღაძის საკანონმდებლო ინიციატივა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების საკანონმდებლო წინადადება ე.წ. „გასაღების“ სხვადასხვა სტრუქტურების ხელში გადაცემას ითვალისწინებდა, მათ ჰქონდათ ერთი საერთო პრინციპი: მოქალაქეთა კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მუდმივი, შეუზღუდავი წვდომის გაუქმება და ე.წ. „გასაღების“ გადატანა იმ სტრუქტურიდან, რომელიც პროფესიულად არ იყო დაინტერესებული და პასუხისმგებელი გამოძიების წარმატებით წარმართვაზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა და აღნიშნული ინიციატივების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა პერსონალური მონაცემების და პირადი ცხოვრების დაცვის თვალსაზრისით.

თუმცა, საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 30 ნემბერს მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ინიციატივას რომელიც ე.წ. „გასაღების“ კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროში დატოვებას ითვალისწინებდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით აღნიშნული ცვლილებები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

• ოჯახური მდგომარეობის გამო პარლამენტის სხდომის გაცდენის არასაპატიოდ ცნობა

პარლამენტის წევრების მიერ პარლამენტის სხდომები გაცდენის ყველაზე ხშირ მიზეზს წარმოადგენს „ოჯახური მდგომარეობა“, რაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით საპატიო გაცდენის მიზეზია. აღნიშნული მიზეზით გაცდენების მაღალი მაჩვენებლის არსებობის შესახებ არაერთხელ იქნა აღნიშნული ჩვენს კვლევაში.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მოახდინა კანონპროექტის ინიცირება,⁴⁴ რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 133-ე მუხლის მე-10 პუნქტიდან, რომელიც შეიცავს **საქართველოს პარლამენტის პლენარული და კომიტეტის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზების ჩამონათვალს, ხდება „ოჯახური მდგომარეობის“ გამო სხდომის გაცდენის ამოღება**. როგორც ინიციატორი აღნიშნავს ეს ტერმინი საკმაოდ ფართოა და იმის ბუსტად განსაზღვრა თუ რა ითვლება კონკრეტულად „ოჯახურ მდგომარეობაში“ და რა შემთხვევა შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ ვერ ხერხდება.

⁴⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“, <https://goo.gl/OETvIC>

კანონპროექტი პირველი მოსმენით მიღებულ იქნა, მეორე საკომიტეტო მოსმენაზე მოიწონა წამყვანმა კომიტეტმა, თუმცა მეორე მოსმენით პლენარულ სხდომაზე მისი განხილვა აღარ მომხდარა.

განხილვების პროცესში წარდგენილ იქნა ასევე ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ ალტერნატიული წინადადება, რომლის თანახმად, საპატიო მიზეზად აღარ ჩაითვლება ოჯახური მდგომარეობა, მაგრამ ემატება ახალი გარემოება, კერძოდ ოჯახის წევრის გარდაცვალება ან მათგან რომელიმეს ოპერაციული მკურნალობა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

მე-8 მოწვევის პარლამენტში ოჯახური მდგომარეობის გამო პლენარული სხდომის 5913 გაცდენა დაფიქსირდა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ პარლამენტის წევრების მიერ ხდება რეგლამენტის არსებული ჩანაწერის სისტემატურად ბოროტად გამოყენება.

სამწუხაროდ, მერვე მოწვევის პარლამენტმა არ გამოხატა ნება, შეეცვალა არსებული რეგულაცია, კანონმდებლობის ცვლილებით ხელი შეეწყო პრობლემის მოგვარებისათვის. სასურველია, რომ მომდევნო მოწვევის პარლამენტმა შეძლოს ამ მანკიერი პრაქტიკის უარყოფა და სათანადო ცვლილებების განხორციელება.

• ნეპოტიზმის კრიმინალიზება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის არმქონე სუბიექტს უფლება აქვს პარლამენტში წარადგინოს საკანონმდებლო წინადადება, რომელიც თემატურად შესაბამის კომიტეტებზე განიხილება და მოწონების შემთხვევაში იქცევა კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ისარგებლა აღნიშნული უფლებით და პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ნეპოტიზმის კრიმინალიზებას ითვალისწინებდა.

ჩვენი ორგანიზაციის რამდენიმე კვლევა აქვს ჩატარებული საჯარო სამსახურში არსებული პრობლემების შესახებ. ერთ-ერთ ძირითად პრობლემას საჯარო სამსახურში საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობის პრინციპების დარღვევით წარმართვა წარმოადგენს, რასაც ხელს უწყობს არასათანადო საკანონმდებლო რეგულირება.

საკანონმდებლო წინადადების⁴⁵ თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება მუხლი 3321 - საჯარო სამსახურში კონკურსის წესის დარღვევა, რომელიც **ითვალისწინებს იმ პირთა დასჯას, რომლებმაც კონკრეტული პირისთვის საჯარო სამსახურში მიღებისას უპირატესობის მინიჭების მიზნით, განზრახ დაარღვია კონკურსის წესები ან ამ პირს შერჩევის კრიტერიუმი განზრახ მოარგო (მათ შორის არაგონივრული საკონკურსო მოთხოვნების ან შეფასების კრიტერიუმების დადგენით ან/და კონკურსის ჩაშლით სხვა კანდიდატებისთვის ხელის შესაშლელად).** სასჯელის სახედ განისაზღვრა ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. იმ შემთხვევაში, თუ იგივე ქმედება მრავალჯერ ჩაიდინა საჯარო მოხელემ ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირმა, ის დაისჯება თავისუფლების აღკვეთით და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. კანონპროექტი ასევე ახდენს იმ პირის მიერ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების კრიმინალიზაციას, რომლის სასარგებლოდაც დაირღვა კონკურსის პირობები, თუ მან ამის შესახებ იცოდა. თუმცა, თუ პირი ამ დანაშაულის შესახებ ნებაყოფლობით მიაწვდის ინფორმაციას საგამოძიებო ორგანოებს და ითანამშრომლებს მათთან, კანონპროექტის მიხედვით, ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

საკანონმდებლო წინადადება არ იქნა მოწონებული ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ. ხოლო იურიდიულ კომიტეტს იგი არ განუხილავს.

„სამართაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

ნეპოტიზმთან ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არაა საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად. სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური ნორმის არსებობა ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნასა და პრევენციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ნეპოტიზმთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების დანერგვის პროცესში.

• საარჩევნო ცვლილებები - მაჟორიტარული სისტემის გაუქმება

2015 წლის 18 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა 81 ხმით მიიღო დადგენილება⁴⁶ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველო კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ. საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორია საქართველოს პარლამენტის 81 წევრი. **კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს მთლიანად პროპორციული წესით მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, შესაბამისად უქმდება დღეს მოქმედი 75 მაჟორიტარული ოლქი.** პროექტის თანახმად, ასევე მცირდება საარჩევნო ბარიერი 5%-დან 4%-მდე. პროექტის მიღების შემთხვევაში, მისი ძალაში შესვლის თარიღად მითითებულია 2016 წლის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის პირველი შეკრება.

2015 წლის 11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა 88 ხმით მიიღო დადგენილება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველო კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ. ამ შემთხვევაში ცვლილებების ინიციატორი იყო საქართველოს 204 161 მოქალაქე. **ცვლილება ითვალისწინებს ახალი სამხარეო პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღებას, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტი დაკომპლექტდება ერთიანი პროპორციული სისტემით არჩეული 75 და სამხარეო პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის 75 წევრისაგან.**

საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერის შემთხვევაში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ახალი წესის მიხედვით ჩატარდებოდა. შეგახსენებთ, რომ არსებული მაჟორიტარული სისტემის გაუქმება კოალიცია “ქართული ოცნების” საარჩევნო პროგრამით⁴⁷ იყო გათვალისწინებული. არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებენ მოქმედ საარჩევნო სისტემას და აქტიურად ლობირებენ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებას.

„სამართაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

ჩვენ არაერთხელ დავაფიქსირეთ პოზიცია, საარჩევნო სისტემის ცვლილება 2016 წლის არჩევნებისთვის უნდა განახორციელებულიყო და შესაბამისად სრულად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარებულიყო, რისი პოლიტიკური ნებაც სამწუხაროდ ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა გამოხატა პოლიტიკური ნება.

⁴⁶ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 18 სექტემბრის დადგენილება <http://goo.gl/gPjAah>

⁴⁷ საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“, საარჩევნო პროგრამა, 2012, <https://goo.gl/hhWUal>

არსებული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არ იძლევა შესაძლებლობას ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით ხმები სამართლიანად აისახოს პოლიტიკურ პარტიების მიერ მოპოვებულ მანდატებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე თანხმდება, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის პრობლემურობაზე, კოალიციის გადაწყვეტილების გამო, ქვეყანას დამატებით სულ მცირე ოთხი წლის განმავლობაში კვლავ მოუწევს ამ მდგომარეობასთან შეგუება და 73 მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროების შესანახად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 4 მილიონ ლარზე მეტის ხარჯვა. თავად მაჟორიტარი დეპუტატების ცნობადობა კი საკმაოდ დაბალია, როგორც 2015 წლის,⁴⁸ ასევე 2016 წლის⁴⁹ მონაცემების მიხედვით.

• საარჩევნო სისტემის გერმანული მოდელი

მერვე მოწვევის პარლამენტის განხილვის საგანს წარმოადგენდა ფრაქცია რესპუბლიკელების ინიციატივა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ ე.წ. გერმანული მოდელი. ცვლილებების თანახმად, არსებული კონსტიტუციური მოცემულობა - 77 პროპორციული, ხოლო 73 მაჟორიტარული მანდატი რჩება, თუმცა **იცვლება მანდატების განაწილების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული ხმების სამართლიან გადანაწილებას პოლიტიკურ პარტიებს შორის.** თუმცა, განხილვების ეტაპზე პარლამენტის დღის წესრიგიდან მოიხსნა საარჩევნო სისტემის ე.წ. „გერმანული მოდელი“ მოდიფიცირებული ვერსიის შესახებ კანონპროექტის განხილვა. პროექტი უკან გაითხოვა ინიციატორმა. აღნიშნულის მიზეზად, რესპუბლიკური პარტიის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა, პროექტის მისაღებად არასაკმარისი ხმების რაოდენობა დაასახელა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება:

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კანონპროექტით 2016 წლის არჩევნების წინ საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების რეალური შანსი იქმნებოდა. ცვლილება საარჩევნო სისტემას გაცილებით უფრო სამართლიანს გახდიდა, კერძოდ, ამომრჩეველთა ნება საპარლამენტო მანდატებში მეტი პროპორციულობით აისახებოდა.

აღსანიშნავია, რომ წინასწარ გამართული კონსულტაციებისას საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა თანხმობა და მზადყოფნა გამოთქვეს მხარი დაეჭირათ ე.წ. „გერმანული მოდელის“ მიღებისთვის. ამის მიუხედავად, განხილვისას ხმების არასაკმარისი რაოდენობის გამო კანონპროექტი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში პირველი მოსმენით განხილვისას არ იქნა მხარდაჭერილი.

• ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა

2015 წლის 13 თებერვალს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო წინადადება,⁵⁰ რომელიც ითვალისწინებს ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას. საკანონმდებლო წინადადების თანახმად, უქმდება ამჟამად მოქმედი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭო. კანონპროექტის მიზანია საჯარო სამსახურში კორუფციის და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და გამოვლენის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სამართლებრივი

⁴⁸ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შეფასება, საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიები - 2014“, <https://goo.gl/KNNEIk>

⁴⁹ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შეფასება, საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიები - 2015“, <https://goo.gl/2VNOIV>

⁵⁰ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს საკანონმდებლო წინადადება <https://goo.gl/GiPuvu>

ნორმების პრაქტიკაში განხორციელების ეფექტიანი მექანიზმების არარსებობა, აგრეთვე ზოგადად ანტიკორუფციული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მხრივ არსებული ინსტიტუციური ვაკუუმი და საქართველოს არსებული ანტიკორუფციული ინსტიტუციური სისტემის შეუსაბამობა ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებთან. კანონპროექტით განსაზღვრული სააგენტოს უფლებამოსილებები მოიცავს თანამდებობის პირთა საქმიანობის შემოწმებას და შესაბამისი დასკვნის გამოქვეყნებას, ასევე შემოწმების შედეგების გადაგზავნას საგამოძიებო ორგანოებისთვის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში; თანამდებობის პირთა მიმართ კანონით დადგენილი სანქციების გატარებას; თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევაში შესაბამისი უწყებისთვის მიმართვას თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლების რეკომენდაციით; თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების შემოწმებას და კანონით გათვალისწინებული ზომების მიღებას დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში და აშ. კანონპროექტი ითვალისწინებს ფინანსურ სანქციებს თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში ინფორმაციის ასახვის ვალდებულების უგულვებელყოფისა და კანონით აკრძალული საჩუქრის საფინანსო სააგენტოსთვის გადაუცემლობისთვის. კანონპროექტის მიხედვით საკრებულოს წევრებს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, რომლებიც კანონის დღევანდელი რედაქციით ვალდებული არიან საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინონ თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია) ეკისრებათ საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

ანტიკორუფციული კანონმდებლობის დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესში მნიშვნელოვანია ანტიკორუფციული სააგენტოს შემქნა იმ უფლებამოსილებების გათვალისწინებით რასაც წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ წინადადების განხილვა დადგეს პარლამენტის საქმიანობის დღის წესრიგში. კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულაციების მიღება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ანტიკორუფციული სისტემის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

• პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისკენ მიმართული ინიციატივები - გენდერული კვოტირება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის წახალისებს მიზნით პარლამენტში სამი საკანონმდებლო ინიციატივა და ერთი საკანონმდებლო წინადადება დარეგისტრირდა, თუმცა არცერთი არაა მიღებული.

1. **ნანა ყვინიშვილის ინიციატივა⁵¹ საარჩევნო კოდექსსა ცვლილებების შეტანის შესახებ:** კანონპროექტის შესაბამისად, ფინანსურად წახალისდება ის პარტია/საარჩევნო ბლოკი, რომელსაც პარტიულ სიებში ყოველი ყოველი მეორე კანდიდატი ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესის და მიიღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. (საბაზისო დაფინანსებაზე დანამატი, საბაზისო დაფინანსების 50 % -ის ოდენობით). ასევე, კანონპროექტის თანახმად, საქართველოს საარჩევნო კოდექსს ემატება ნორმა, რომლის მიხედვით წარსადგენ პროპორციულ საარჩევნო სიებში პირველ 5 ათეულში კანდიდატს შორის არანაკლებ ყოველი მესამე კანდიდატი იქნება განსხვავებული სქესის. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებდა საკრებულოში პროპორციული წესით ასარჩევ ქალთა რაოდენობის გაზრდას. აღნიშნული ინიციატივის განხილვა საქართველოს პარლამენტს ამ დრომდე არ დაუწყია, მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი 2015 წლის 18 ივნისს დარეგისტრირდა.

⁵¹ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ <https://goo.gl/5Yv2Em>

2. **ნანა ყვინიშვილისა და თემურ ჯგუასელის ინიციატივა⁵² საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ** კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტში გენდერული ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრას. კერძოდ, კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კოდექსს ემატება ნორმა, რომლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით წარსადგენ პროპორციულ საარჩევნო სიაში ყოველ მომდევნო სამ კანდიდატს შორის ერთი მაინც, წარმოდგენილი იქნება განსხვავებული სქესის კანდიდატი. კანონპროექტით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს პარლამენტში მინიმუმ 23 განსხვავებული სქესის პარლამენტარის წარმომადგენლობა. საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში 2015 წლის 5 ნოემბერს დაეგისტრირდა. ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება მისი დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, თუმცა ამ დრომდე პლენარულ სხდომაზე კანონპროექტზე კენჭისყრა არ ჩატარებულა.
3. **ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის საკანონმდებლო წინადადება⁵³ გენერულ კვოტირებასთან დაკავშირებით** საკანონმდებლო წინადადების თანახმად, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიული სიების წარდგენისას, პარტიებს დაევალებათ დაიცვან 50 %-იანი სქესთა ბალანსი - სიაში ყოველი მეორე კანდიდატი იყოს განსხვავებული სქესის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია დაუბრუნებს პარტიას სიას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ პარტია ვერ აღმოფხვრის ამ ხარვეზს, ვერ გაივლის რეგისტრაციას. საკანონმდებლო წინადადებას ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის კომიტეტმა მხარი დაუჭირა, თუმცა არ იქნა მხარდაჭერილი წამყვანი კომიტეტის - იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ და შესაბამისად პლენარულ სხდომაზე მისი განხილვა არ მომხდა.
4. **მ. კობახიძე გ. მაღრაძის ინიციატივა⁵⁴ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ** ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე: აზუსტებს პარტიის საბაზო დაფინანსებაზე 30%-იანი დანამატის მიღების წესს. კერძოდ, პარტია 30 პროცენტთან დანამატს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სიის ყოველ სამეულში წარმოდგენილი ეყოლება განსხვავებული სქესის ერთი კანდიდატი მაინც, ნაცვლად ზოგადად საარჩევნო სიის ყოველ ათეულში 30%-იანი გენდერული ბალანსის დაცვის. 2016 წლის 9 ივნისს დარეგისტრირებული ცვლილება პარლამენტმა ერთი მოსმენით დაჩქარებული წესით მიიღო. თუმცა კანონპროექტის მეორე და მესამე მოსმენით მიღება აღარ მომხდარა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ შეფასება

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები ქალთა პოლიტიკური უფლებების გაძლიერებისაკენ მიმართულებით და მხარდაჭერილი იყოს ინიციატივები, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას პოლიტიკაში.

ფემიციდის კრიმინალიზება

2016 წლის 28 აპრილს პარლამენტში დარეგისტრირდა პარლამენტის წევრების თამარ კორძაიასა და თამარ ხიდაშელის ინიციატივა,⁵⁵ რომელიც ითვალისწინებდა ფემიციდის (გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობის) ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ

⁵² საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, <https://goo.gl/gRbFA3>

⁵³ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის წევრი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, <https://goo.gl/chXFGq>

⁵⁴ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

⁵⁵ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <https://goo.gl/gxUDqD>

დანაშაულად აღიარებას და მის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში მოქცევას. ცვლილებები ასევე მოიცავს გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების დამამძიმებელ გარემოებად აღიარებას, მათ შორის, ისეთ დანაშაულებთან მიმართებაში, როგორებიცაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ცემა, ძალადობა, იძულება, მუქარა. წარმოდგენილ ცვლილებებს მხარი არ დაუჭირა იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა. მიუხედავად ამისა ინიციატორის მიერ მაინც იქნა გატანილი პლენარულ სხდომაზე განსახილველად. პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა კანონპროექტს.

„სამართაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

„სამართაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ მისწავლმემა საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს ქალთა უფლებების დაცვას. საკანონმდებლო რეგულაციები საჭიროებენ შევსებასა და დახვეწას, რათა რეალურად იყოს უზრუნველყოფილი ქალთა უფლებების დაცვა.

2.6 მე-8 მოწვევის პარლამენტის საქმიანობა და პრეზიდენტის ვებო

საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლი ითვალისწინებს პრეზიდენტის უფლებას ხელი არ მოაწეროს კანონს და მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს განსახილველად (პრეზიდენტის ვებო). საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს განსახილველად. პარლამენტის რეგლამენტის 171-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დადგენილ ვადაში ხელი არ მოაწეროს კანონპროექტს და მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს იგი პარლამენტს. პრეზიდენტის მიერ დაბრუნებულ შენიშვნებს (რომელიც კანონპროექტის სახით უნდა იქნეს წარდგენილი) პარლამენტი განიხილავს 15 დღის ვადაში. თუ პარლამენტი მიიღებს პრეზიდენტის შენიშვნებს, კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც მის საბოლოო რედაქციას ხელს აწერს და კანონს აქვეყნებს 7 დღის ვადაში. თუ პარლამენტი არ მიიღებს პრეზიდენტის შენიშვნებს, კენჭი ყვება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას.

მერვე მოწვევის პარლამენტის საქმიანობის პერიოდში 40 კანონზე მოხდა პრეზიდენტის მიერ ვეტოს უფლების გამოყენება.

- 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე პრეზიდენტმა 20 კანონზე გამოიყენა ვეტოს უფლება (13 საკანონმდებლო პაკეტი)
- 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებიდან 2016 წლის 24 ივლისის ჩათვლით პერიოდში 20 კანონზე (4 საკანონმდებლო პაკეტი).

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების შემთხვევები:

1. ამნისტიის შესახებ⁵⁶ (ინიციატორები ე. ბესელია, გ. ფოფხაძე, ზ.კვაჭანტირაძე) 07-3/6 კანონზე პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ. ახალარჩეული პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ნაბიჯი იყო 2012 წლის 28 დეკემბერს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიღება, რომელიც თითქმის ორი თვის განმავლობაში განიხილებოდა. განხილვის პროცესში პროექტი ბევრჯერ შეიცვალა და, საბოლოო ჯამში, 17 ათასამდე პატიმარს შეეხო – მათი ნაწილი სრულად გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან, ზოგიერთს კი სასჯელი შეუმცირდა. აღნიშნული კანონი 200-მდე პირის პოლიტპატიმრის სტატუსით სასჯელისგან გათავისუფლებას და 25 პირისათვის პოლიტიკური დევნილის

⁵⁶ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები „ამნისტიის შესახებ“ კანონის პროექტზე <https://goo.gl/lm7e7t>

სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებდა. ეს გარემოება გახდა კანონისთვის პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. საბოლოოდ პარლამენტმა 91 ხმით 24-ის წინააღმდეგ დაძლია პრეზიდენტის ვეტო.

2. “საერთო სასამართლოების შესახებ”⁵⁷ კანონში და მის თანმდევ კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ ინიციატივაზე (ინიციატორი საქართველოს მთავრობა) - პრეზიდენტის შენიშვნები არ გაიზიარა პარლამენტმა. პრეზიდენტი მოტივირებულ შენიშვნებში უთითებდა რამოდენიმე საკითხზე, კერძოდ: **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოში მოსამართლეთა არჩევასთან დაკავშირებული შეზღუდვის, პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევისა და პრეზიდენტის მიერ საბჭოს ერთ წევრის დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.**
3. “საერთო სასამართლოების შესახებ”⁵⁸ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონზე (ინიციატორი შ. შავგულიძე) პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება. მისი შენიშვნები არ იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ. **წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებდა მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდებას გამოსაცდელი 3 წლის ვადით.** ამ ვადის ამოწურვამდე არა უადრეს 2 და არა უგვიანეს 1 თვისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის ვადოდ გამწესების თაობაზე. პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები რამოდენიმე საკითხს აერთიანებდა, მათ შორის მოსამართლის დანიშვნას გამოსაცდელი 3 წლიანი ვადით.
4. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის⁵⁹ შესახებ (ინიციატორი აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო) კანონზე პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ. **კანონი განსაზღვრავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების მიღებისა და ხელმოწერის წესს.** პრეზიდენტის შენიშვნის თანახმად, ცვლილება ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით რეგულირებად საკითხებში ჩარევას იწვევს. პარლამენტმა ხმების რაოდენობით 3 მომხრე და 84 მოწინააღმდეგე არ გაიზიარა პრეზიდენტის შენიშვნები.
5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები,⁶⁰ (ინიციატორი საქართველოს მთავრობა) პრეზიდენტმა მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს განსახილველად. მეორე კენჭისყრისას პარლამენტმა გაიზიარა პრეზიდენტის შენიშვნები. წარმოდგენილი კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ადვოკატთა უფლებებთან დაკავშირებულ ცვლილებებს ეხება. **ადვოკატს ენიჭება უფლება სასამართლოს ნებართვით ჩაატაროს ჩხრეკა-ამოღების საგამოძიებო მოქმედებები.** ცვლილებების ამოქმედება 2014 წლის პირველი სექტემბრიდან უნდა განხორციელდებოდა. პრეზიდენტის შენიშვნა შეეხებოდა აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლის თარიღად 2013 წლის პირველი სექტემბრის დადგენას. პრეზიდენტმა

⁵⁷ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები საერთო სასამართლოების შესახებ კანონზე <https://goo.gl/rMR7Vi>, თანმდევი კანონები: „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „იურისტიკის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

⁵⁸ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები საერთო სასამართლოების შესახებ კანონზე <https://goo.gl/bQThkE>, თანმდევი კანონები: „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინურისამართალწარმოების შესახებ“, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

⁵⁹ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონზე „ნორმატიული აქტების შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ <https://goo.gl/UnDyaj>

⁶⁰ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ <https://goo.gl/vW5as8>

მოტივირებული შენიშვნა ასევე ეხებოდა 2014 წლის პირველი სექტემბრიდან დაცვის საგამონაკლისო უფლების გაუქმებას, რომელსაც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი ითვალისწინებს და რომლის მიხედვითაც „დაცვის მხარის მიერ ერთი ისეთი მტკიცებულების წარუდგენლობა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დაცვის უზრუნველსაყოფად, არ იწვევს სასამართლოში საქმის არსებით განხილვაზე ამ მტკიცებულების დაუშვებლობას“.

6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტზე (ინიციატორი საქართველოს მთავრობა) პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება, პრეზიდენტის შენიშვნები არ იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ.⁶¹ პრეზიდენტის შენიშვნების თანახმად, ბრადებულს კვლავ უნდა შენარჩუნებოდა უფლება მოეთხოვა საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე თუ ამით შესაძლოა საფრთხე შექმნოდა ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად ყოფილიყო ხელყოფილი მისი ხელშეუხებლობა, ან როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად არღვევდა ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას.
7. სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტზე (ინიციატორი მთავრობა) პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები⁶² არ იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ. ცვლილება შედიოდა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 38-ე მუხლში, რომელიც **ითვალისწინებდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის ცვლილების აკრძალვას**. პრეზიდენტი მოტივირებულ შენიშვნებში მიუთითებდა, რომ კანონით უნდა განსაზღვრულიყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნის შესაძლებლობა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით. ამავდროულად, გარდაქმნა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არასამეწარმეო იურიდიული პირის ერთადერთი დამფუძნებელი ან წევრი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან თვითმმართველი ერთეული.
8. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ცვლილებებზე (ინიციატორი: ვ. ხმალაძე) პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება. პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს მხარი არ დაუჭირა საქართველოს პარლამენტმა.⁶³ პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები რამდენიმე მიმართულებით იყო წარმოდგენილი, მათ შორის **„პრეზიდენტი მიზანშეწონილად მიიჩნევდა კანონში ცვლილებების შეტანას, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შეჩერების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 6 თვით, ნაცვლად 30 კალენდარული დღისა, რომლის გაგრძელებაც შესაძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ არაუმეტეს 1 თვით**. ასევე შენიშვნებში აღნიშნული იყო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის ან ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების არ უნდა მოჰყოლოდა სხვა კონსტიტუციური სარჩელების (წარდგინების) განხილვის ვადის შეჩერება.

⁶¹ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ <https://goo.gl/fTEyy9>

⁶² საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ <https://goo.gl/eG8Yfm>

⁶³ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები ორგანულ კანონზე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ <https://goo.gl/0a2vcA>

9. მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონზე⁶⁴ (ინიციატორები: ე. ჩაფიძე, მ. დუმბაძე) პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ იქნა პარლამენტის მიერ. პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: **საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, სამეურვეო საბჭოსათვის უნდობლობის გამოცხადებას, მაუწყებლის მიერ კომისიისათვის წარსადგენ ინფორმაციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.**
10. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში⁶⁵ შეტანილ ცვლილებებს პრეზიდენტმა ვეტო დაადო და მოტივირებული შენიშვნებით გადაუგზავნა პარლამენტს. შენიშვნები არ იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ. პრეზიდენტის შენიშვნები რამდენიმე საკითხს შეეხებოდა, მათ შორის აღნიშნული იყო, რომ **კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონიდან უნდა ამოღებულიყო მუხლები, რომლებიც უკავშირდებოდა თბილისის თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების შეზღუდვას.**
11. ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონში (ინიციატორი საქართველოს მთავრობა) პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ.⁶⁶ **პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები შეეხებოდა კანონის ამოქმედების ვადას, რომელიც განსაზღვრავდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოწყობისა და ფორმირების საკითხთან დაკავშირებულ ცვლილებებს.** შენიშვნების მიხედვით აღნიშნული წესი ძალაში უნდა შესულიყო იმ კონსტიტუციური ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, რომელიც ახლებურად განსაზღვრავდა აღმასრულებელი ხელისუფლების მოწესრიგების წესს.
12. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონზე (ინიციატორი: ზ. ტყემალაძე, გ. აგულაშვილი) პრეზიდენტის ვეტო არ იქნა გაზიარებული.
13. უმაღლესი განათლების შესახებ კანონზე (ინიციატორი: საქართველოს მთავრობა) პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ. **ცვლილებები ძირითადად შეეხებოდა დოქტორანტურის სტუდენტებს, რომლებსაც ერთმევათ შესაძლებლობა ყოფილიყვნენ ასისტენტი პროფესორები, ასევე ისინი ვერ იქნებოდნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის საარჩევნო კოლეგიის წევრები, ისინი ვეღარ იქნებოდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორობის კანდიდატი.** პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნებში აღნიშნული იყო, რომ კანონით გათვალისწინებული ცვლილებები აუარესებდა როგორც კონრკეტულად დოქტორანტების მდგომარეობას ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის პრინციპს.

⁶⁴ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონზე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ <https://goo.gl/Chlrw0> თანმდევ კანონები: საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

⁶⁵ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონზე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ <https://goo.gl/Dki4UO> თანმდევ კანონები: „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

⁶⁶ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონზე „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ <https://goo.gl/Rspfpv>

პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებიდან 2016 წლის 24 ივნისის ჩათვლით:

1. საქართველოს პრეზიდენტის გამოიყენა ვეტოს უფლება და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ და საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მოტივირებული შენიშვნები გადაუგზავნა საქართველოს პარლამენტს.⁶⁷ **ცვლილებები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შეეხებოდა, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის პლენუმისათვის გადაცემის, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის, მისი ოფიციალურად გამოქვეყნების საკითხებს.** პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები ძირითადად შეეხებოდა გადაწყვეტილებისათვის საგადადებულო კვორუმს და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას. პარლამენტმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტის შენიშვნებს.
2. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონსა და თანმდევ 13 კანონზე პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება. მისი მოტივირებული შენიშვნები არ იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ.⁶⁸ **ცვლილებები ითვალისწინებდა ეროვნული ბანკიდან საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქციის გამოყოფას და სსიპ-ის საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ჩამოყალიბებას.** საქართველოს პარლამენტმა “ვეტო 81 ხმით 12-ის წინააღმდეგ დაძლია.
3. პრეზიდენტმა პარლამენტს მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი და მისი თანმდევი პროექტები “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი.⁶⁹ **პრეზიდენტი მოტივირებულ შენიშვნებში აღნიშნავდა, რომ მოსმენების ორგასაღებიანი სისტემის არსებობისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის როლი წარმოადგენდა არა გარე, არამედ შიდა კონტროლის მექანიზმს რაც თავის მხრივ კონტროლის ეფექტიანობას აყენებდა ეჭვქვეშ.** პრეზიდენტმა მოტივირებულ შენიშვნებს თან დაურთო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ე.წ. მოსმენების გასაღების სასამართლოს ხელში გადატანას. პარლამენტმა არ გაიზიარა პრეზიდენტის შენიშვნები.
4. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონზე⁷⁰ პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ იქნა პარლამენტის მიერ გაზიარებული. ცვლილებამდე არსებული მდგომარეობით საქართველოს პარლამენტს 2014 წლის 1 ნოემბრამდე უნდა უზრუნველყო შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის მიღება, რომლითაც განისაზღვრებოდა კომუნიკაციების კომპანიებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენების და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირების წესი.

⁶⁷ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები ორგანულ კანონზე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ <https://goo.gl/pEdHFu>

⁶⁸ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები ორგანულ კანონზე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ <https://goo.gl/4MRMfl> თანმდევი 13 კანონის პროექტი: კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, მენარმეთა შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსში, საარჩევნო კოდექსში, მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ, საინვესტიციო ფონდების შესახებ, გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ, არასაბანკო სადებოშიტო დაწესებულებების საკრედიტო კავშირების შესახებ, სახელმწიფო ბაჟის შესახებ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო მომსახურების შესახებ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონებში შესატანი ცვლილებები.

⁶⁹ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და თანმდევ კანონპროექტებზე <https://goo.gl/W6hHF3>

⁷⁰ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონზე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ <https://goo.gl/u10C1T>

კანონის ცვლილებები ითვალისწინებდა აღნიშნული ცვლილებების მიღების ვადის 2015 წლის 1 აპრილამდე გადატანას.

2.7 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული კანონები და შეჩერებული ნორმები

• ფარული მოსმენა/მიყურადების არსებული სისტემის გაუქმება

2016 წლის 14 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჭანაძე, ლიკა საჭაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.⁷¹

სადავო ნორმები

საკონსტიტუციო სარჩელით სადავო იყო ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ანიჭებდა უფლებამოსილებას ჰქონოდა პირდაპირი წვდომა და რეალურ დროში ინფორმაციის მოპოვების საშუალება საკომუნიკაციო და კავშირგაბმულობის არხებიდან, ფიზიკური ხაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და ამ მიზნით კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან სათანადო ტექნიკური აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები განეთავსებინათ. ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ჰქონდა უფლებამოსილება მოეხდინა კავშირგაბმულობის არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი 2 წლით შენახვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სადავო ნორმები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს საშუალება აძლევდა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მოეპოვებინა პირადი ხასიათის ინფორმაცია პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ. გადაწყვეტილების თანახმად, რეალურ დროში პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების უფლება და პირდაპირი წვდომა ამ სახის ინფორმაციაზე, ამასთანავე ამ სახის ინფორმაციის კოპირების და შენახვის უფლება ისეთი ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს საგამოძიებო ფუნქცია ან არის პროფესიულად დაინტერესებული ამ ინფორმაციის მიღებით, ქმნის პირად ცხოვრებაზე ჩარევის რეალურ საფრთხეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობას განაპირობებდა შემდეგი ფაქტორები: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფლობდა ფარული მოსმენებისა და მონიტორინგისთვის საჭირო ტექნიკურ საშუალებებს, რომლითაც რეალურ დროში პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მასიურ, ფაქტობრივად შეუზღუდავ შესაძლებლობას იძლევა. ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც ითვალისწინებს პირადი ხასიათის ინფორმაციის ფარულ მოძიებას ტექნიკური საშუალებებით პირად

⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჭანაძე, ლიკა საჭაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. <https://goo.gl/YxOQ9j>

ცხოვრებაში ჩარევის მომეტებული საფრთხეს შეიცავს და ეფექტურ კონტროლს საჭიროებს. ამ პირობებში პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გასცეს ნებართვა მოსმენაზე და განახორციელოს აღნიშნული სისტემის შემოწმება მართალია, ემსახურება პირად ცხოვრებაში გაუმართლებლად ჩარევის რისკის შემცირებას, მაგრამ ვერ იქნება საკმარისი და ეფექტური შესაძლებლობა ამ მიზნის მისაღწევად. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილება მოახდინოს კავშირგაბმულობის არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი 2 წლით შენახვა.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ფარული მოსმენების არსებული მოდელი არათუ ვერ გამორიცხავს, არამედ თავისთავად ზრდის ადამიანის უფლების დარღვევის საფრთხეს და ვერ ჩაითვლება პირად ცხოვრებაში ჩარევის პროპორციულ საშუალებად. ამდენად იგი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 16-ე და 20-ე მუხლებთან.** ამასთან საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა რა რომ წინამდებარე გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულება მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, მიზანშეწონილად მიიჩნია გადაწყვეტილების აღსასრულებად გონივრული დროის გათვალისწინება. ასეთ ვადად კი საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია 2017 წლის 17 მარტამდე პერიოდი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 83 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება და ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება.

- **სამოგადოებრივი მანყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების ვადაზე ადრე თანამდებობიდან გათავისუფლების არაკონსტიტუციურად ცნობა**

2014 წლის 11 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.⁷²

სადავო ნორმები

დავის საგანი იყო „მანყებლობის შესახებ საქართველოს კანონის“ 24-ე მუხლის შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციასთან. კერძოდ, სადავო ნორმის მიხედვით, სამოგადოებრივი მანყებლის ახალი სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება იწყება საქართველოს პარლამენტის მიერ სამეურვეო საბჭოს არანაკლებ 7 წევრის არჩევისთანავე, რის შედეგადაც უფლებამოსილება უწყდებათ მოქმედი სამეურვეო საბჭოს წევრებს. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, მოქმედი სამეურვეო საბჭოს წევრების ვადაზე ადრე თანამდებობიდან გათავისუფლება, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს პირის უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა, თავისუფლად განახორციელოს მისთვის მინიჭებული სამსახურებრივი ფუნქციები და არ გაათავისუფლონ დასაბუთების გარეშე.

⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <https://goo.gl/GY9Zdy>

მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით განხორციელებული ჩარევა გაუმართლებელია. მოსარჩელე მხარის განცხადებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესი მათთვის ზოგადად მისაღები იყო. პრობლემას ქმნიდა ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრებისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

მოსარჩელე მხარემ თავისი არგუმენტაციის გასამყარებლად დამატებით მიუთითა სხვადასხვა საერთაშორისო ხასიათის შეთანხმებაზე, ევროპის საბჭოს რეზოლუციებსა და რეკომენდაციებზე, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) სპეციალური წარმომადგენლის მედია საკითხებში მოსაზრებაზე და ასევე, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის „მე-19 მუხლი“ რეკომენდაციებზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა სარჩელი და დააგინდა, რომ სადაო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოსარჩელეთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ კანონით **განსაზღვრულ ვადაში მეურვის საქმიანობაში ჩაურევლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის გარანტიის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა, რასაც სადავო ნორმა, მოქმედი სამეურვეო საბჭოს წევრების ვადაზე ადრე თანამდებობიდან გათავისუფლებით, უპირობოდ არღვევდა.** ახალარჩეული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ცნობა თავისთავად იწვევდა მოქმედი სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. სადავო ნორმის მოქმედების შედეგად, სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრები ვერ შეძლებდნენ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას. ამგვარად, სადავო ნორმა წარმოადგენდა ჩარევას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ მოსარჩელეთა უფლებაში. ამას გარდა, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით რომ სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში. ასევე სასამართლომ მიიღო მხედველობაში მოსარჩელეთა პოზიციას, რომ ნებისმიერ პირს უფლება აქვს განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება და არ გაანთავისუფლონ დასაბუთების გარეშე, რასაც სადაო ნორმა უპირობოდ არღვევდა. **საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადავო ნორმა, არ წარმოადგენდა მოსარჩელეთა უფლებაში ჩარევის ნაკლებად მზღუდავ და პროპორციულ საშუალებას და იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტს.**

• სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მორატორიუმის გაუქმება

2014 წლის 24 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის სასამართლოს გადაწყვეტილების⁷³ საფუძველზე არ მიიღო ავსტრიის მოქალაქის მათიას ჰუთერის კონსტიტუციური სარჩელი⁷⁴ და მიიღო გადაწყვეტილება რომლის თანახმადაც, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელის მიხედვითაც 2014 წლის 31 დეკემბრამდე უცხოელებს შეჩერებული ქონდათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის უფლება.

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <https://goo.gl/agf9q2>

⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუთერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <https://goo.gl/eZDUzm>

სადავო ნორმა

დავის საგანი იყო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 28 ივნისს შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმად, უცხოელს 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეეზღუდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების (მათ შორის მემკვიდრეობით) მოპოვების უფლება. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა და მემკვიდრეობით მიღების აკძალვა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განსაზღვრულ საკუთრებისა და მე-14 მუხლით განმტკიცებულ თანასწორობის უფლებებს. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული საკუთრების უფლება ვრცელდება ყველაზე, მათ შორის, უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. შესაბამისად, საკუთრების უფლება უცხოელებსა და საქართველოს მოქალაქეებს, შესაძლებელია შეეზღუდოთ მხოლოდ კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით, კერძოდ, შეზღუდვას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება.

მოსარჩელე მხარემ განმწესრიგებელ სხდომაზე განმარტა, რომ სადავო ნორმა იმ ნორმების იდენტური შინაარსის იყო, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო. აღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კანონის ნორმა, რომელიც უცხოელს უკრძალავდა სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენას ან მემკვიდრეობით მიღებას. მოსარჩელე მხარემ ასევე განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუცია კონკრეტული უფლების განსაზღვრული ვადით შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს გარემოებები, რომლებიც არსებითად განასხვავებდა სადავო ნორმას საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით („დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“)⁷⁵ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმისგან და მიიღო განჩინება განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობის და სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც 2014 წლის 31 დეკემბრამდე უცხოელს უკრძალავდა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების და მემკვიდრეობის უფლებას.

• საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება - შეაჩეროს სადავო ნორმის მოქმედება გონივრული ვადით

2014 წლის 24 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი (ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე გახუბტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ საკონსტიტუციო სასამართლოს შეაჩერებდა სადავო ნორმის მოქმედებას, კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილება არაუგვიანეს 45 დღის ვადაში უნდა ყოფილიყო მიღებული.

⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <https://goo.gl/VeDzmM>

სადაო ნორმა

აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ⁷⁶ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე და 25-ე მუხლის ის ნორმები, რომელიც შეეხებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, შეეჩერებინა სადაო აქტის მოქმედება თუ მიიჩნევდა, რომ სადაო ნორმის მოქმედებას შეეძლო გამოუსწორებელი ზიანი მოეტანა დავის რომელიმე მხარისათვის. სადაო ნორმის მიხედვით თუ სასამართლო შეაჩერებდა სადაო ნორმის მოქმედებას კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილება სასამართლოს უნდა მიეღო 30 დღის ვადაში, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლოა გაგრძელებულიყო არაუმეტეს 15 დღით. თუ სასამართლო შემოაღნიშნულ ვადაში ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, ნორმის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება უქმდებოდა. მოსარჩელის არგუმენტაციით საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია 30 ან თუნდაც 45 კალენდარულ დღეში სასამართლომ სრულად გამოიკვლიოს საქმის გარემოებები და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ თუ სასამართლო ვერ მიიღებდა შემოაღნიშნულ ვადაში გადაწყვეტილებას, შეჩერებული ნორმის ამოქმედებას შესაძლოა პირისათვის ისეთი ზიანი მოეტანა, რომ მას ინტერესი დაკარგოდა საბოლოო გადაწყვეტილების მიმართ.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა რომ “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 41 პუნქტი და 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რომლითაც სამართლიანი სასამართლოს უფლება არის დაცული.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს უდგენდა საქმის გადაწყვეტის მაქსიმალურ ვადას ნორმის შეჩერების შემთხვევაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, გონივრული დროის არარსებობა ბრდიდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისად პირის უფლების არამართლზომიერად შეზღუდვის რისკს. სასამართლოს განმარტებით სადაო აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან პრევენციულ უფლებადაცვით მექანიზმს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობას. სასამართლომ განმარტა, რომ სადაო ნორმის მექანიზმი მოუქმელი იყო და არ იძლეოდა შესაძლებლობას, არ დამდგარიყო გამოუსწორებელი შედეგები მოსარჩელის ინტერესის მიმართ. სასამართლომ მიიჩნია რომ სადაო აქტით განსაზღვრული არაუმეტეს 45 დღიანი ვადა არ იყო საკმარისი საქმის საფუძვლიანად შესწავლისა და შეფასებისთვის. ყოველივე ამის საფუძველზე სასამართლომ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სარჩელი და მისი გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა შემოაღნიშნული სადაო ნორმა.⁷⁶

• მერის კანდიდატურის დასახელების უფლების მინიჭება საინიციატივო ჯგუფებისათვის

2016 წლის 14 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარაშვილი და სალომე სევისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ ნორმები,

⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ 'ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)' და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <https://goo.gl/I7iqVQ>

რომელიც საინიციატივო ჯგუფს, რომელიც არ იყო რომელიმე პარტიის ან საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელი უკრძალავდა მერობის კანდიდატის წარდგენას.

სადავო ნორმა

დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 167-ე მუხლის მე-2 და 169-ე მუხლისა მე-4 ნაწილის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 18-ე და 29-ე მუხლებთან. სადავო ნორმების თანახმად, საინიციატივო ჯგუფს, რომელიც არ იყო რომელიმე პარტიის ან საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელი უფლება არ ქონდა წარედგინა მერობის კანდიდატი.

მოსარჩევეებს წარმოადგენდნენ ქალაქ თბილისში მცხოვრები აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეები. მოსარჩევეების განმარტებით, მოცემული სადავო ნორმებიდან გამომდინარე, ვინაიდან ისინი არ იყვნენ პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის წევრები, მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას ყოფილიყვნენ ხუთკაციანი საინიციატივო ჯგუფის წევრები, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებოდათ, დაესახელებინათ ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატი.

მოსარჩევე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმები მას ართმევს შესაძლებლობას, პარტიის შექმნის ან უკვე არსებულ პარტიაში გაწევრიანების გარეშე, პასიური და აქტიური საარჩევნო უფლება რაიმე ალტერნატიული გზით განეხორციელებინა.

მოსარჩევეთა პოზიციით აღნიშნული ნორმები საინიციატივო ჯგუფს უზღუდავდა კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლებით დაცულ უფლებას რომელიც არჩევნებში მონაწილეობისა და ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლებას ანიჭებს მოქალაქეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების⁷⁷ თანახმად, სადავო ნორმებით საინიციატივო ჯგუფს ერთმეოდა უფლება დაესახელებინა მერობის/გამგებლის კანდიდატები. **სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ნორმებით ირღვეოდა კონსტიტუციით დაცული უფლება რომელიც მოქალაქეს ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლებას ანიჭებდა.**

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 167-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვები „**პარტიების/საარჩევნო ბლოკების**“ და ამავე კანონის 169-ე მუხლის მე-4 პუნქტი არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 28 მუხლთან, ასევე 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა

2014 წლის 8 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო საქართველოში ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმას.

⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე

დავის საგანი

დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის რიგი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ სასამართლოს მიერ პირის ქმედუწაროდ აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, მეურვის და მზრუნველის უფლებამოსილებებსა და ქმედუწაროდ აღიარებულ პირთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, სადავო ნორმების თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მეურვე სამეურვეო პირს განსაკუთრებული წარმომადგენლობის გარეშე წარმოადგენდა მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. ამასთანავე, ამ პირის სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დებდა ყველა აუცილებელ გარიგებას. სადავო ნორმების მიხედვით, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ ქმედუწაროდ ცნობილ პირს ეკრძალებოდა ქორწინება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმების საფუძველზე, გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა სრულად ეკრძალებოდათ. მოსარჩელის პოზიციით, გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს, მართალია, არ შეუძლიათ გადაწყვეტილება მიიღონ გარკვეულ საკითხთან მიმართებით, მაგრამ ისინი სრულად არ კარგავენ უნარს, სათანადოდ აღიქვან და ნათლად გამოხატონ თავიანთი ნება კონკრეტულ სამოქალაქო ურთიერთობებთან მიმართებით. კანონმდებლობაში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს შორის არის არსებითი განსხვავება. სადავო ნორმები გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის ნებისმიერი ხარისხის მქონე პირს, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე, სრულად ართმევდა გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას; მე-16 მუხლს, რომლის თანახმად, ადამიანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ცხოვრების ყველა სფეროსთან დაკავშირებით; კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რომლითაც დაცულია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. 18-ე მუხლს რომელიც იცავს ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობას, 36-ე მუხლს რომელიც იცავს ქორწინებაში მეუღლეთა თანასწორობას და აშ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმების საფუძველზე შესაძლოა ქმედუწაროდ აღიარებული პირის ნების საწინააღმდეგოდ შემღუდულიყო მისი უფლებები მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვის თანხმობას შესაძლოა არ გამოეხატა უნარშემღუდული პირის რეალური ნება.

სასამართლოს გადაწყვეტილებით⁷⁸ სამოქალაქო კოდექსიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან და „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონიდან ამოღებულ იქნა ის ნორმები, რომლებიც სასამართლოს აზრით შემღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კონსტიტუციით დაცულ უფლებებს არღვევდა.

⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ <https://goo.gl/j8x77g>

• **ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გაუქმების შესახებ ნორმის მოქმედების შეჩერება**

2015 წლის 15 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო სარჩელი „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა სადავო ნორმების მოქმედება. მოსარჩელები ითხოვდნენ „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის იმ ნორმების გაუქმებას, რომლის თანახმად, ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ერთმეოდა.

დავის საგანი

დავის საგანს წარმოადგენდა რიგ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის, „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო“ და მას დაეკისრა იმ ფუნქციების განხორციელება, რაც სადავო ნორმების ამოქმედებამდე ეროვნული ბანკის საბჭოს უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა. მოსარჩელები მიუთითებდნენ საქართველოს კონსტიტუციის 96-ე მუხლის პირველი პუნქტზე რომლის თანახმადაც, საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო. მოსარჩელეთა განმარტებით აღნიშნული ნორმა იმპერატიულად გამორიცხავდა საქართველოს ეროვნულ ბანკში ორი უმაღლესი მმართველობითი ორგანოს არსებობას. მოსარჩელეთა განმარტებით, სადაო ნორმის საფუძველზე შექმნილი სააგენტოსთვის გადაცემულ იქნა ის უფლებამოსილებები, რაც საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების მიხედვით მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკისა და მისი საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება. მოსარჩელები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლოსგან ითხოვდნენ სადაო ნორმის მოქმედების შეჩერებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე სადავო ნორმების მოქმედებას შეეძლო ეჭვქვეშ დაეყენებინა არა მხოლოდ ქვეყნის საფინანსო-საბანკო სექტორის მდგრადობა, არამედ გამოეწვია კონკრეტული პირების (საბანკო ურთიერთობის მონაწილეების, ინვესტორების, მენაბრეების) უფლებებისა და ინტერესებისთვის გამოუსწორებელი შედეგი.

გემოაღნიშნულის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ ნორმების მოქმედება, რომლებსაც სასამართლოს აზრით შესაძლოა ზიანი მოეტანა ქვეყნის საფინანსო-საბანკო სექტორის მდგრადობისათვის და საბანკო ურთიერთობის მონაწილე პირების უფლებები დაერღვია. აღნიშნული ნორმების მოქმედების შეჩერების შედეგად სადაო ნორმის საფუძველზე შექმნილ „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს“ უფლებამოსილებას განახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

2.8 დაჩქარებული წესით კანონპროექტთა განხილვა

პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის⁷⁹ თანახმად, კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება გულისხმობს სამივე მოსმენით მის განხილვასა და მიღებას პლენარული სხდომების 1 კვირის განმავლობაში. პლენარული სხდომის 1 დღეს კანონპროექტის ერთზე მეტი მოსმენით განხილვა და მიღება დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით.

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის ბიურო კანონპროექტის ინიციატორის ან წამყვანი კომიტეტის წინადადების საფუძველზე. თუ პარლამენტის ბიურო არ მიიღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, ამ საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის პლენარული სხდომა.

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა გამონაკლის შემთხვევას უნდა წარმოადგენდეს და მას მხოლოდ რეალური საჭიროების შემთხვევაში უნდა მიმართავდეს პარლამენტი, ვინაიდან კანონპროექტის ერთ კვირაში განხილვა ზღუდავს საზოგადოების შესაძლებლობას სრულყოფილად ჩაერთოს განხილვის პროცესში.

მერვე მოწვევის პარლამენტმა კანონპროექტების მნიშვნელოვანი რაოდენობა განიხილა დაჩქარებული წესით.

წარმოგიდგენთ პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. წარმოდგენილი მონაცემები არ მოიცავს ინფორმაციას იმ კანონპროექტების შესახებ, რომლის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილება პლენარულ სხდომაზე იქნა მიღებული.


დაჩქარებული წესით პარლამენტმა (როგორც მთავრობის ინიცირებული, ასევე პარლამენტის წევრების, კომიტეტების და ფრაქციების მიერ) 437 კანონი განიხილა.

⁷⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 03/07/2012 <https://goo.gl/wYGsb3>

**დიაგრამა 4. საანგარიშო პერიოდში მთავრობის მიერ ინიცირებული
დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობა**

**მთავრობის მიერ ინიცირებული დაჩქარებული წესით განხილული
კანონპროექტების რაოდენობა**


■ 2012 ■ 2013 ■ 2014 ■ 2015 ■ 2016



დიაგრამა 5. საანგარიშო პერიოდში პარლამენტის წევრების, კომიტეტებისა და ფრაქციების ინიცირებული დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობა

პარლამენტის წევრების, კომიტეტებისა და ფრაქციების მიერ ინიცირებული დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობა

■ 2012 ■ 2013 ■ 2014 ■ 2015 ■ 2016




დაჩქარებული წესით პარლამენტმა ყველაზე ხშირად განიხილა შემდეგი პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული კანონპროექტები:

- გ. ჟორჯოლიანი (უმრავლესობა) - 42
- ი. იმერლიშვილი (უმრავლესობა) - 30
- ვ. ხმაღაძე (უმრავლესობა) - 27
- ზ. ტყემალაძე (უმრავლესობა) - 27
- დ. ონოფრიშვილი (ფრ. თავ. დემოკრატები) - 26

დიაგრამა 6. მერვე მოწვევის პარლამენტის წევრების მიერ დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების ინიციატორები და რაოდენობა

მერვე მოწვევის პარლამენტის წევრების მიერ დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების ინიციატორები და რაოდენობა



2.9 გამართივებული წესით კანონპროექტთა განხილვა და კანონთა ამოქმედების გადავადება

მერვე მოწვევის პარლამენტში მანკიერ პრაქტიკად ჩამოყალიბდა კანონის ამოქმედების გადავადება. კანონპროექტების განმარტებით ბარათებში ცვლილებათა მიზეზები არადამაჯერებელია, უმეტესად ერთი და იგივე არგუმენტით ხდება კანონის მოქმედების ვადის რამდენჯერმე გადავადება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში განმარტებით ბარათში კანონპროექტის გადავადების მიზეზი საერთოდ არ არის მითითებული. განმარტებითი ბარათების თანახმად, ასევე კონკრეტულ შემთხვევებში არ ჩანს რა გახდა ხელისშემშლელი ფაქტორი, რის გამოც ხელისუფლებამ დროულად ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შესრულება (მაგალითად მითითებულ დროში აქტის ვერ შემუშავება ან აღმინისტრირება).

კანონის ამოქმედების გადავადების ტენდენცია შესაძლოა მთავრობის არაეფექტურ მუშაობასა და პარლამენტის მიერ კანონის აღსრულებაზე სათანადო კონტროლის არ არსებობაზე მიუთითებდეს.

მერვე მოწვევის პარლამენტის მიერ არაერთხელ მოხდა მნიშვნელოვანი რეფორმებისა თუ ცალკეული სახის ცვლილებების არაერთჯერადი გადავადება, რაც ყოველთვის ხდებოდა როგორც არასამთავრობო სექტორის ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების⁸⁰ კრიტიკის საგანი.

აქვე უნდა აღინიშნოს იმ ტენდენციის შესახებ, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის პროცესში გამოიკვეთა. კერძოდ, სისტემური გადავადების სახე მიიღო მაგალითად, **ნაფიც მსაჯულებისა და მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის⁸¹ ამოქმედების გადავადებამ, რასაც არაერთხელ გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.**⁸²

2014 წელს მიღებული ცვლილების შესაბამისად, მთელი ქვეყნის მასშტაბით ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედების ვადა 2016 წლის 1 ოქტომბრამდე გადავადდა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მხოლოდ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში ფუნქციონირებს, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე მისი დანერგვა კი 2014 წლის 1 ოქტომბერს უნდა მომხდარიყო. ამოქმედების თარიღის ორი წლით გადავადების მიზეზად, როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში, ასევე საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის ინიციატორის არგუმენტებად⁸³ მითითებული იყო, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სრული მოცულობით ამოქმედებისათვის ბიუჯეტში თანხები არ არსებობა, ორგანიზაციული და ფინანსური ხასიათის სირთულებები, ასევე ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმეების შემთხვევაში პროცესის გაჭიანურება. როგორც აღნიშნულ კანონთა რამდენჯერმე გადავადებამ, ასევე საკომიტეტო მოსმენებზე პარლამენტის წევრთა ნაწილის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა დაგვარწმუნა, რომ გადავადების მოტივი ხელისუფლებისათვის შეიძლება იყოს, კონკრეტული ცვლილებისა თუ რეფორმის განხორციელების სურვილის არქონა, რომლის არგუმენტად იქცევა ტექნიკური თუ სხვა სახის ხელოვნური ბარიერები, დროში გაჭიანურება.

⁸⁰ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის განცხადება მოწმეთა დაკითხვის წესის გადავადებასთან დაკავშირებით, 17.12.2015, <https://goo.gl/i5EXg1>

⁸¹ არასამთავრობო ორგანიზაციები ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედების გადავადებას ეხმაურებიან, 18 სექტემბერი 2014, <http://goo.gl/sxepvQ> იხ. ასევე: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო „ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში: გადავადებული თუ რეალური რეფორმა“, 29 ივლისი 2013 <http://goo.gl/8IU7MW>

⁸² კოალიცია სისხლის სამართლის პროცესში მოწმეთა დაკითხვის წესის გარშემო მიმდინარე დისკუსიას ეხმაურება, 20 აგვისტო 2015, <http://goo.gl/blJ1Bc>

⁸³ არასამთავრობო ორგანიზაციები ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედების გადავადებას ეხმაურებიან, 18 სექტემბერი 2014, <http://goo.gl/QHsojR>

თუმცა რეალურად არსებობდა რამდენიმე მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა ამ ცვლილების ამოქმედებას, კერძოდ ის, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებისათვის⁸⁴ არ შექმნილა სათანადო წინაპირობები, არ მომზადებულა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და არ ჩატარებულა მოსამართლეთა ტრენინგები, პასუხისმგებლობა თანაბრად ეკისრება ხელისუფლების სამივე შტოს (საქართველოს პარლამენტს, მთავრობასა და სასამართლოს). მიუხედავად იმისა რომ 2013, 2014, და 2015 წლების სასამართლო სისტემის ბიუჯეტი იზრდებოდა, მაინც ვერ მოხერხდა შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებისათვის. თუკი ეს თანხა არ იყო საკმარისი ნაფიც მსაჯულთა სისტემის ამოქმედებისათვის ამის შესახებ ბიუჯეტის შესახებ კანონის განხილვისას კომიტეტებზე უნდა ყოფილიყო მსჯელობა და შესაბამისი თანხის ბიუჯეტში გათვალისწინება. ამგვარ მსჯელობას საკომიტეტო მოსმენებზე აღვილი არ ჰქონია.

იგივე შეიძლება ითქვას მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების გადავადების შესახებაც, რომელიც მიღებიდან - 2009 წლის შემდეგ 7-ჯერ გადავადდა.⁸⁵

მოწმის დაკითხვის ახალი წესისა და დაცვის მხარისათვის დამატებითი უფლებების მინიჭების გადავადებას საქართველოს მთავრობა იმ არგუმენტით ასაბუთებდა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად ახალი ნორმების ამოქმედებისათვის. ასევე უთითებდნენ, რომ სასამართლო სისტემა არ იყო მზად ახალი პროცედურების განხორციელებისთვის და მეორეს მხრივ, ეს ხელს შეუშლიდა გამოძიების ეფექტურად წარმართვას. ანალოგიური არგუმენტების გამოყენებით ბოლო წლების მანძილზე ვერ ხერხდებოდა მხარეთა რეალური თანასწორობის უზრუნველყოფა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. ეს კი ზიანს აყენებს დაცვის მხარის ინტერესებს, პროცესის მხარეთა თანასწორობის პრინციპსა და მართლმსაჯულების ხარისხს.⁸⁶

2015 წლის 18 დეკემბერს პარლამენტმა შეიტანა მოწმეთა დაკითხვის ახალ წესთან დაკავშირებული ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მრავალჯერადი გადავადებების შემდეგაც არ მოხდა იმ ვარიანტის მიღება, რომელიც სათანადოდ უზრუნველყოფდა უფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტს. ახალი წესი სრულად არ პასუხობს მოწმის დაკითხვის წესებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამავდროულად, შემოაქვს საქართველოში მოქმედი საპროცესო სისტემისთვის პრინციპულად შეუთავსებელი ელემენტები, რომლებიც მომავალში არაერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ და პრაქტიკულ პრობლემებს შექმნის.


⁸⁴ 2013 წელს სასამართლო სისტემის (07 00 -10 00) ბიუჯეტი შეადგენდა 46,578.70 ლარს, 2014 წელს - 59,464.70, 2015 წელს - 62,705.00 ლარი

⁸⁵ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 03/11/2009, <https://goo.gl/4Y2N2o>

⁸⁶ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო „ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში: გადავადებული თუ რეალური რეფორმა“, 29 ივლისი 2013, <http://goo.gl/ADJmRV> <http://goo.gl/bVuzTV>

დიაგრამა 7. მერვე მოწვევის პარლამენტში გამარტივებული წესით კანონის განხილვის მოთხოვნათა რაოდენობა (პარლამენტის წევრების, კომიტეტებისა და ფრაქციების მიერ ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა)


პარლამენტის წევრების, კომიტეტებისა და ფრაქციების მიერ ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა გამარტივებული წესით



დიაგრამა 8. მთავრობის მიერ გამარტივებული წესით კანონის განხილვის მოთხოვნათა რაოდენობა

მთავრობის მიერ გამარტივებული წესით კანონის განხილვის მოთხოვნათა რაოდენობა


■ 2012 ■ 2013 ■ 2014 ■ 2015 ■ 2016



დიაგრამა 9. პარლამენტის წევრების, კომიტეტებისა და ფრაქციების მიერ გამარტივებული წესით კანონის განხილვის მოთხოვნათა რაოდენობა


პარლამენტის წევრების, კომიტეტებისა და ფრაქციების მიერ გამარტივებული წესით კანონის განხილვის მოთხოვნათა რაოდენობა

■ 2012 ■ 2013 ■ 2014 ■ 2015 ■ 2016



დიაგრამა 10. პარლამენტის წევრები, რომლებმაც ყველაზე ხშირად მოითხოვეს კანონპროექტის გამარტივებული წესით განხილვა

მერვე მოწვევის პარლამენტის წევრების მიერ დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტის ინიციატორები და რაოდენობა



თავი 3 | საპარლამენტო კონტროლი

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის ძირითად ფუნქციას, საკანონმდებლო საქმიანობასა და ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასთან ერთად, წარმოადგენს მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არსებობს საპარლამენტო კონტროლის რამდენიმე მექანიზმი:

- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენა
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კომიტეტების სხდომებზე მიწვევა სადებუტატო შეკითხვა
- სამთავრობო საათი
- საგამოძიებო კომისიის შექმნა
- ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის კონტროლი;
- ნდობის ჯგუფის საქმიანობა

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიურ შეფასებებში პარლამენტის მიერ საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება არაერთი კრიტერიუმითაა შეფასებული.

მერვე მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშში პარლამენტის მიერ მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელების შეფასების ოთხ კრიტერიუმს წარმოგიდგენთ:

1. **პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა**
2. **სამთავრობო საათი**
3. **საგამოძიებო კომისიები**
4. **პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების დასწრება ფრაქციის სხდომაზე**


3.1 პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით პარლამენტის წევრს უფლება აქვს, შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, რომელიც ვალდებულია დადგენილი ფორმით და დადგენილ ვადაში გასცეს შეკითხვას პასუხი. პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს და საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ, შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ კითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი. პარლამენტის წევრთა მიერ დასმული შეკითხვები და მიღებული პასუხები საჯარო ინფორმაციაა და ხდება მათი პროაქტიულად გამოქვეყნება.

მერვე მოწვევის პარლამენტში პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფის და საპარლამენტო ფრაქციის მიერ ზეპირი ან წერილობითი შეკითხვა არ დასმულა.

მერვე მოწვევის პარლამენტის წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში **814** სადეპუტატო კითხვა დაისვა. აღნიშნული უფლებით ისარგებლა პარლამენტის **35** წევრმა. ყველაზე აქტიური დეპუტატები საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები არიან. სადეპუტატო კითხვების უფლებით მოსარგებლე დეპუტატების პირველი ათეული ასე გამოიყურება:

დიაგრამა 11. სადეპუტატო კითხვები (პირველი ათეული)



სადეპუტატო კითხვების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია დეტალურად იხილეთ პირველ დანართში.

3.2 სამთავრობო საათი

პარლამენტის რეგლამენტის 221-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს. ისინი ვალდებული არიან, დასმულ შეკითხვას უპასუხონ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. შეკითხვებს უპასუხებენ პლენარული სხდომების ყოველი თვის ბოლო პარასკევს, სამთავრობო საათის დროს. შეკითხვა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას. რეგლამენტის 222-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ ზეპირი შეკითხვა შეიძლება დაისვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მაგრამ სამთავრობო საათამდე არაუგვიანეს 14 დღისა. წერილობითი შეკითხვა შეიძლება წარდგენილი იქნეს სამთავრობო საათის დღემდე არა უგვიანეს 10 დღისა. რეგლამენტის 126-ე მუხლის თანახმად ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს 16:00 საათიდან 19:00 საათამდე, როგორც წესი, იმართება სამთავრობო საათი. არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არ სრულდება. კერძოდ, **მერვე მოწვევის პარლამენტში არ ჩატარებულა სამთავრობო საათი**, რაც ამცირებს საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობას და ასევე ეს შეიძლება მიუთითებდეს კონტროლის არასაკმარისად განხორციელებაზე.

3.3 საგამოძიებო კომისიები

მერვე მოწვევის პარლამენტში **14** მოთხოვნა იყო დარეგისტრირებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ. რომელთაგან **შეიქმნა მხოლოდ ერთი** - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია. დროებითი საგამოძიებო კომისიის არ შეიქმნა ცამეტ შემთვევაში, აქედან **მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული** საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის, რომელიც საბოლოოდ არ შეიქმნა.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნის შესახებ მოთხოვნის დარეგისტრირების და მისი შედეგების შესახებ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია (დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი) - **შეიქმნა კომისია**
2. „ჭიჭადის“ სახელით გავრცელებული ვიდეო მასალის წარმომავლობისა და დამამზადებლის გამოვლენის მიზნით საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიზანშეწონილობა (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) - **არ შეიქმნა კომისია**
3. სასამართლოზე გეწოლის კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიზანშეწონილობა (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) - **არ შეიქმნა კომისია**
4. პარტიის გენერალური მდივნის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებისა და გეწოლის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიზანშეწონილობა (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) - **არ შეიქმნა კომისია**

5. საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარდგინებით გათვალისწინებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) - **არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული.**
6. საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარდგინებით გათვალისწინებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) - **არ შეიქმნა კომისია**
7. საქართველოს პარლამენტის წევრზე ნუგზარ წიკლაურზე 2014 წლის 31 მარტს მომხდარ თავდასხმაზე გატაცების მიზნით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) - **არ შეიქმნა კომისია**
8. 2012 წლის 30 სექტემბერს ბარბარე რაფალიანცის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა (საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები“ და „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები“) **არ შეიქმნა კომისია**
9. საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზან-შეწონილობა (ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“) - **მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მაგრამ საბოლოოდ არ შეიქმნა კომისია.**
10. იური ვაზაგაშვილის, ბარბარე რაფალიანცის, შალვა თათუხაშვილის, ეროსი კინმარი-შვილისა და არჩილ მაისურაძის გახმაურებული მკვლელობების ფაქტების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის მიზანშეწონილობა (საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები“ და „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები“) - **არ შეიქმნა კომისია.**
11. საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ (ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“) **არ შეიქმნა კომისია.**
12. საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზან-შეწონილობა (საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები“ და „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები“) **არ შეიქმნა კომისია.**

13. ბარბარე რაფალიანცის, ეროსი კინმარიშვილისა და შალვა თათუხაშვილის მკვლევლობებთან დაკავშირებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა (საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები“ და „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები“) - **არ შეიქმნა კომისია**
14. ქვეყანაში არსებული სისტემური კორუფციის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა (საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები“ და „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები“) - **არ შეიქმნა კომისია.**

3.4 პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების დასწრება ფრაქციის სხდომაზე

წარმოდგენილ ანგარიშის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ დაინტერესდა საპარლამენტო ფრაქციებს რამდენად შეჰქონდათ წვლილი პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის განხორციელებაში - აკონტროლოს მთავრობის საქმიანობა და მთავრობის წევრები რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ პარლამენტის მაკონტროლებელ ფუნქციას. პარლამენტიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები რამდენჯერ იქნენ მიწვეული ფრაქციების მიერ და დაესწრენ თუ არა ისინი ფრაქციის სხდომას.

პარლამენტის რეგლამენტის 94-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც პარლამენტმა თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს ფრაქციის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს ფრაქციამ.

მერვე მოწვევის პარლამენტში უმეტესად **უმცირესობის** მხირდან ხდებოდა მთავრობის წევრების დაბარება. კერძოდ, ასეთ **მოთხოვნა დაყენებულ იქნა 37 შემთხვევაში, მთავრობის წევრი (წარმომადგენელი) მხოლოდ 4 შემთხვევაში დაესწრო ფრაქციის სხდომას.** 1 შემთხვევაში შეხვედრა უმცირესობის ინიციატივით გაუქმდა.

სხვადასხვა დროს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დაბარებული იყო საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გიორგი მღებრივილი, წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო სოზარ სუბარი, სახელწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი. მოწვეული პირები ოთხ შემთხვევაში (**საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ორჯერ, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია**) დაესწრენ პარლამენტში შეხვედრას.

ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ მოწვეული იყო სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში დავით ბაქრაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე. ასევე მოწვეულ იქნა პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვის მიზნით მთავრობის ყველა წევრი. ასევე ფრაქციამ მოიწვია პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, და ენერგეტიკის მინისტრი. **მთავრობის წევრები ფრაქციის სხდომაზე არ გამოცხადებულან.**

ფრაქციების „ეროვნული ფორუმის“, „კონსერვატორების“, „რესპუბლიკელების“, „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ მხრიდან არ მომხდარა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების დაბარება.

ფრაქციებს „ქართული ოცნება“, „ქართული ოცნება - მრეწველების“, „დამოუკიდებელი მაჟორიტარები ძლიერი რეგიონებისთვის“ ინფორმაცია არ მოუწოდებია.

თავი 4 | პარლამენტის წევრთა აქტივობა

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პარლამენტის წევრთა აქტივობის შეფასებისათვის ყოველწლიურ ანგარიშებში რამდენიმე კრიტერიუმზე ამახვილებდა ყურადღებას.


მერვე მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშში პარლამენტის წევრთა აქტივობა შეფასებულია შემდეგი კომპონენტებით:

1. **პარლამენტის წევრის პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის სიხშირე:** განცხადებების გაკეთება, შეკითხვების დასმა, კანონპროექტებთან და სხვა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმა
2. **პარლამენტის წევრისთვის მინიჭებული საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლების გამოყენება**
3. **ინიცირებული მიღებული კანონების რაოდენობა**
4. **გაცდენები და დისციპლინური პასუხისმგებლობა**
5. **პარლამენტის წევრთა მივლინებები**

4.1 პარლამენტის წევრის მიერ პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის სიხშირე

2012-2016 წლებში პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის (განცხადებების გაკეთება, შეკითხვების დასმა, კანონპროექტებთან და სხვა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმა) უფლებით ისარგებლა პარლამენტის 135-მა წევრმა.



დიაგრამა 12. სიტყვით გამოსვლის რაოდენობა (პირველი ათეული)



მერვე მოწვევის პარლამენტში სიტყვით გამოსვლის უფლებით საერთოდ არ უსარგებლია 16 დეპუტატს:

გოდერძი ბუკია, ალექსანდრე თამაზაშვილი, ზაზა კედელაშვილი, გოგი ლიპარტელიანი, ალი მაშედოვი, ენზელ მკოიანი, კობა ნაყოფია, რამაზ ნიკოლაიშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, ლევან ქარდავა, თამაზ ყაჭეიშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, რევაზ შავლოხაშვილი, შოთა ხაბარელი, როსტომ ხალვაში, თენგიზ ხუბულური.

დიაგრამა 13. პარლამენტის წევრები, რომელთაც სიტყვით გამოსვლის უფლებით საერთოდ არ უსარგებლიათ




მერვე მოწვევის პარლამენტის წევრების სიტყვით გამოსვლის სიხშირე დეტალურად იხილეთ **დანართ 2-ში**.

4.2 ინიცირებული და მიღებული კანონები

მერვე მოწვევის პარლამენტში პარლამენტის ცალკეული წევრის მიერ ინიცირებულ იქნა **1124** კანონის პროექტი. აღნიშნული უფლება გამოიყენა **79 წევრმა**. საანგარიშო პერიოდის მანძილზე ამ უფლებით არ ისარგებლა დაახლოებით პარლამენტის შემადგენლობის ნახევარმა (151 დან 72 წევრმა).⁸⁷

⁸⁷ პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებულ კანონპროექტების სტატისტიკაში გათვალისწინებული არ არის ის კანონპროექტები, რომელთა ინიციატორების რაოდენობა რამდენიმე ათეულია კონსტიტუციური კანონების პროექტების შემთხვევაში.

დიაგრამა 14. პარლამენტის წევრები, რომლებმაც ყველაზე ხშირად ისარგებლეს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებებით




მერვე მოწვევის პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობისა და ავტორების შესახებ იხილეთ **დანართი 3**.

მიღებული კანონები

საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული იქნა პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული **739** კანონის პროექტი.⁸⁸

⁸⁸ ზოგად სტატისტიკაში მითითებული მიღებული კანონების რაოდენობა არის 440, ვინაიდან დათვლილია მიღებული კანონის მიხედვით, აქ მოცემული ციფრი დათვლილია ცალკეული პარლამენტის წევრის მიერ ინიციატივების რაოდენობის მიხედვით

დიაგრამა 15. მიღებული კანონების რაოდენობა და ინიციატორები (პირველი ოცეული)



4.3 პარლამენტის წევრთა მონაწილეობა პარლამენტის პლენარულ და საკომიტეტო სხდომებში, დისციპლინური პასუხისმგებლობა


„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტიდან გამოითხოვა და გაანალიზა ინფორმაცია პლენარულ და საკომიტეტო სხდომებში პარლამენტის წევრთა მონაწილეობის შესახებ.

4.3.1 პარლამენტის წევრების მიერ პლენარული სხდომების გაცდენა


საანგარიშო პერიოდში საპატიო მიზეზით პლენარული სხდომის 5913 გაცდენა დაფიქსირდა. აქედან:

- მივლინება - 855
- ავადმყოფობა - 417
- პოლიტიკური მოსაზრების გამო - 541
- **ოჯახური მდგომარეობის გამო - 4100**


დიაგრამა 16. პლენარული სხდომების ოჯახური მდგომარეობის გამო გაცდენები (პირველი ათეული)



დანართი 17. პლენარული სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენა (პირველი ოცეული)




დანართი 18. პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა (პირველი ოცეული)




4.3.2 პარლამენტის წევრების მიერ კომიტეტის სხდომების გაცდენა

პარლამენტიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია კომიტეტის სხდომებზე პარლამენტის წევრთა დასწრების შესახებ. წარმოდგენილია მონაცემები საპატიო და არასაპატიო მიზეზით გაცდენის შესახებ.

დიაგრამა 19. კომიტეტის სხდომის საპატიო მიზეზით გაცდენა (პირველი ოცეული)



დიაგრამა 20. კომიტეტის სხდომების გაცდენა არასაპატიო მიზეზით (პირველი ოცეული)



4.3.3 დისციპლინური პასუხისმგებლობა

საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის მიერ პარლამენტის წევრებზე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება მხოლოდ 2014 წელს განხორციელდა.

2014 წლის 19 თებერვალს პარლამენტის წევრებს გიორგი ცაგარეიშვილს (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს) დაუკავდა ერთი დღის ხელფასი - 235 ლარი 25 თეთრი და აკაკი ბობოხიძეს (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-მაჟორიტარების“ თავმჯდომარე) – 231 ლარი 75 თეთრი.

2014 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე გაცდენების გამო დისციპლინური პასუხისმგებლობა პარლამენტის 15 წევრს დაეკისრა.

კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი ერთზე მეტი სხდომის გამო ხელფასის 10% დაუკავდათ პარლამენტის შემდეგ წევრებს:

- ბარამიძე გიორგი (უმცირესობა)
- ვერულაშვილი მარიკა (უმრავლესობა)
- ხაჩიძე გიორგი (უმცირესობა)
- კარბელაშვილი გიორგი (უმცირესობა)
- საჭაია მარიამ (უმცირესობა) - 2-ჯერ
- მინაშვილი აკაკი (უმცირესობა)
- საყვარელიძე დავით (უმცირესობა)
- მელაძე გიორგი (უმცირესობა)
- ნაყოფია კობა (უმცირესობა)
- ჩიქოვანი ირაკლი (ფრ. თავისუფალი დემოკრატები)
- გაჩეჩილაძე გიორგი (სხვა)
- თოფაძე გიორგი (უმრავლესობა)
- ჯაფარიძე ვიქტორ (უმრავლესობა)
- ნიკოლაიშვილი რამაზ (უმცირესობა) - 2-ჯერ
- აკაკი ბობოხიძე (უმცირესობა)

4.4 მივლინებები

პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრება საპარლამენტო დელეგაციების (მათ შორის, მოწვეული ექსპერტების და მრჩეველების), პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეების მივლინებები. საპარლამენტო დელეგაციისა და პარლამენტის წევრის მივლინების საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს (სამივლინებო განაცხადის ვიზირებით) პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე, რომელიც დროებით ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას. პარლამენტის წევრები და აპარატის საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან, როგორც წესი, მივლინებაში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე შეავსონ სამივლინებო განაცხადი, რომელშიც უნდა მიუთითონ მივლინების მიზანი, საფუძველი, ადგილი, სადღეღამისო მგზავრობის, განთავსებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა სამივლინებო დამატებითი ხარჯები და მათი გამლები მხარე.

2012-2016 წლებში მივლინებებში დაიხარჯა **4,693,280,08** ლარი.

ცხრილი 1. პარლამენტის წევრთა მივლინებების რაოდენობა და ხარჯი

პარლამენტის წევრი	მივლინების ხარჯი	მივლინების რაოდენობა
ჭაფარიძე თედო	491,819.25	95
დოლიძე ვიქტორ	200,663.86	67
ხიდაშელი თინათინ	202,300.26	63
კანდელაკი გიორგი	209,550.75	50
ბაქრაძე დავითი	265,078.64	46
ბესელია ეკა	184,257.52	45
უსუფაშვილი დავითი	397,226.17	45
მალრაძე გუგული	169,542.84	43
ჩიქოვანი ირაკლი	203,852.68	40
წერეთელი გიორგი	172,036.02	39
ბარამიძე გიორგი	116,021.07	38
აბაშიძე ზურაბი	97,811.75	32
თაქთაქიშვილი ჩიორა	140,408.82	31
საგანელიძე დავითი	35,048.39	29
დარჩიაშვილი დავითი	52,715.07	27
ბერძენიშვილი ლევანი	136,394.24	26
ბოკუჩავა თინათინ	62,967.14	25
სესიაშვილი ირაკლი	107,241.12	25
ბერძენიშვილი დავითი	53,005.30	24
კობახიძე მანანა	174,384.76	23
კვაჭანტირაძე ზვიადი	87,106.91	22
ონოფრიშვილი დავითი	60,141.07	22
ვახტანგაშვილი მალხაზი	12,547.46	18
აგულაშვილი გიგლა	25,320.49	16
ებანოიძე ნოდარი	24,733.01	16
ჟორჯოლიანი გია	38,787.46	16
ვოლსკი გიორგი	50,535.06	15

პარლამენტის წევრი	მივლინების ხარჯი	მივლინების რაოდენობა
მაჭავარიანი მიხეილი	56,976.06	15
ძიძიგური გვიადი	42,103.60	15
ჩაფიძე ელისო	34,498.89	14
ხუნდაძე დიმიტრი	27,627.50	13
ქუცნაშვილი ბაქარია	19,141.46	12
მელიქიშვილი ზურაბი	17,525.06	11
საყვარელიძე ფრიდონი	27,143.61	11
ტრიპოლსკი ერეკლე	11,166.17	11
კორძაია თამარი	13,505.80	10
მროტაძე ანი	24,050.87	10
ცაგარეიშვილი გიორგი	21,266.31	10
ბუკია გიგა	29,392.86	8
პოდოსიანი რუსლანი	17,692.54	8
ფოფხაძე გედევანი	16,818.51	8
შაგვულაძე შალვა	11,651.50	8
ხმალაძე ვახტანგი	10,799.28	8
ბარათაშვილი პაატა	6,056.60	7
ბეჟაშვილი ლევანი	18,528.66	7
თამაზაშვილი ალექსანდრე	11,032.25	7
ლონდარაძე ტარიელი	28,104.47	7
მეგრელიძე ომარი	14,023.47	7
სამხარაული გელა	21,763.18	7
საყვარელიძე დავითი	9,738.56	7
ტყემალაძე ზურაბი	9,638.95	7
ჯაფარიძე ზურაბი	12,263.80	7
მაისურაძე თემური	14,477.43	6
მეჭიაური თამაზი	7,176.13	6

პარლამენტის წევრი	მივლინების ხარჯი	მივლინების რაოდენობა
ქანთარია ალექსანდრე	12,171.23	6
ქარდავა ლევანი	15,237.15	6
ხალვაში ფატი	7,607.62	6
ბეჟუაშვილი დავითი	16,973.98	5
გოგორიშვილი ხათუნა	9,574.37	5
იმერლიშვილი ირინა	3,107.40	5
კაჭახიძე მერაბი	9,768.13	5
კახიანი გიორგი	13,720.67	5
მკოიან ენზელ	8,980.58	5
სანიკიძე გუბაზი	17,628.95	5
ხაბარელი შოთა	12,679.47	5
ბობოხიძე აკაკი	9,797.84	4
გაბაშვილი გიორგი	5,407.96	4
გაჩეჩილაძე გიორგი	8,032.09	4
გოგუაძე ნინო	2,472.12	4
დარზიევი მახირი	4,215.37	4
ვაშაძე გიორგი	8,346.80	4
თოფაძე გიორგი	12,793.73	4
კვიფინაძე პაატა	6,938.13	4
ლემონჯავა ვახტანგი	5,347.81	4
მამედოვი ალი	3,556.86	4
მინაშვილი აკაკი	10,749.11	4
ნადირაშვილი ირმა	24,169.68	4
პეტროსიან სამველ	1,566.73	4
ჟვანია გიორგი	8,931.57	4
რათიანი სერგო	2,810.69	4

პარლამენტის წევრი	მივლინების ხარჯი	მივლინების რაოდენობა
ყვინძვილი ნანა	6,146.40	4
ჩრდილელი ოთარ	10,241.50	4
ჩხაიძე თეიმურაზი	4,830.82	4
ავდალიანი თამაზი	3,315.42	3
კილურაძე ივანე	5,712.90	3
ლუგავა პაატა	9,559.28	3
პაპუაშვილი ზაზა	5,457.02	3
ჩიტაშვილი ვაჟა	4,543.78	3
ჩხეტიანი დარეჯანი	1,331.22	3
ჭკუასელი თეიმურაზ	3,995.12	3
ხიდაშელი თამარი	1,651.91	3
ბუცხრიკიძე კახა	252.97	2
დავითაშვილი კობა	2,878.65	2
თევდორაძე გიორგი	2,011.89	2
კიკნაველიძე პაატა	3,999.64	2
კიკნაველიძე შალვა	4,484.33	2
ლორთქიფანიძე დავითი	1,234.62	2
ნიშნიანიძე ომარი	837.32	2
საჭაია მარიამი	8,446.67	2
ფეიქრიშვილი გიორგი	1,387.95	2
ქავთარაძე გიორგი	2,938.60	2
ღვინიაშვილი გიორგი	2,703.67	2
შიოშვილი თამაზი	1,782.17	2
წერეთელი მალხაზი	2,840.38	2
წიკლაური მირიანი	3,630.21	2
წიკლაური ნუგზარი	2,543.73	2
ხაბულიანი სერგო	473.03	2

პარლამენტის წევრი	მივლინების ხარჯი	მივლინების რაოდენობა
ხაჩიძე გიორგი	607.96	2
ხეჩინაშვილი გიორგი	3,614.06	2
ჭაფარიძე ვიქტორ	3,761.22	2
ჭაჭვლიანი იოსები	5,730.73	2
ბაშალეიშვილი დემური	582.8	1
გელაშვილი გელა	1,604.61	1
გელაშვილი ვალერი	2,378.43	1
გოზალიშვილი გიორგი	1,128.62	1
გუჯაბიძე ბიძინა	2,665.77	1
დანელია სოსო	190.78	1
დუმბაძე მურმანი	317.84	1
ენუქიძე გოჩა	3,803.85	1
ზვიადაური ზურაბი	1,054.62	1
თარხნიშვილი ლევანი	3,570.00	1
კარბელაშვილი გიორგი	464.97	1
კოპალიანი კარლო	317.84	1
მელაძე გიორგი	3,718.85	1
მისაბიშვილი გურამი	2,963.43	1
ნერგაძე თეიმურაზ	387.76	1
ნიკოლაიშვილი რამაზი	597.34	1
ოქრიაშვილი კახაბერ	807.35	1
შავლოხაშვილი რევაზი	519.48	1
შერვაშიძე იაშა	1,998.92	1
ცისკარიშვილი პეტრე	2,477.53	1
ხაბელოვი ლერი	317.84	1
ხალვაში როსტომი	45	1
ჭაფარიძე თამაზი	174.61	1

თავი 5 | პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან და არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა

პარლამენტის წევრების არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა

ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ვალდებულება ეფექტიანი საშუალებაა კორუფციისა და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოსავლენად. მიღებული ინფორმაციიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემები ხელისუფლებაში მყოფი პირების სხვადასხვა ბიზნესში წილობრივი მონაწილეობის შესახებ. იმის გარკვევა, თუ რომელი თანამდებობის პირები ფლობენ წილებს/აქციებს კომპანიებში, შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენასა და კორუფციის თავიდან აცილებაში დაგვეხმაროს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ერთმანეთს შეადარა პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციები და საჯარო რეესტრის ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები მათი სხვადასხვა კომპანიებში მონაწილეობის შესახებ.⁸⁹ კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პარლამენტის რამდენიმე წევრს კომერციული იურიდიული სუბიექტის მფლობელობა (კუთვნილი წილი) და მართვაში მონაწილეობა არა აქვს დეკლარირებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მსგავს შემთხვევებზე პარლამენტის ყურადღება უკვე მრავალჯერ გაამახვილა.

გიორგი ჟვანია (უმრავლესობა)

2014 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, გიორგი ჟვანია სამი კომპანიის თანამფლობელია: შპს ტიბანელი (სახელი კომპანიას ივლისში გადაერქვა), შპს „ბი-ემ-სი“ და Tibaneli Gbmh, რომლებიც გერმანიაშია რეგისტრირებული და ღვინის წარმოებას ეწევა. საჯარო რეესტრის ვებგვერდის მიხედვით, გიორგი ჟვანია კიდევ ერთი კომპანიის, შპს „აპოლოს“ მენილეა, თუმცა ამ კომპანიის მონაცემები რეესტრის ვებგვერდზე 1998 წლის შემდეგ არ განახლებულა, რაც შესაძლოა ნიშნავდეს, რომ კომპანია არ ფუნქციონირებს.

თამაზ შიოშვილი (თავისუფალი დემოკრატები)

თამაზ შიოშვილი შპს „სფენიშქლეისა“ (35%) და შპს „მემორექსის“ (30%) მფლობელია. ეს ფაქტი 2012 წლიდან, არც ერთ ქონებრივ დეკლარაციაში არ არის მითითებული. მასვე ეკუთვნის შპს „ლოჯიქსი“, თუმცა ამ კომპანიის მონაცემები რამდენიმე წლის მანძილზე არ განახლებულა, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ კომპანია არ ფუნქციონირებს.

იაშა შერვაშიძე (უმრავლესობა)

საჯარო რეესტრის ვებგვერდის თანახმად, იაშა შერვაშიძე სამი კომპანიის მენილეა: შპს „გუმ-ბაპა“ (51%), შპს „სტარ არ ჯი“ (5%) და შპს „გუმბაპა“ (2007 წლის შემდეგ მონაცემები არ განახლებულა). ხოლო პარლამენტის წევრის 2016 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არც ერთი ეს კომპანია მითითებული არ არის.

გოგი ლიპარტელიანი (უმრავლესობა, ლენტეხის მაჟორიტარი)

საჯარო რეესტრის ვებგვერდის მიხედვით გოგი ლიპარტელიანი შპს „ტირფონ-ჰესის“ მენილედ ფიქსირდება. ამის შესახებ პარლამენტის წევრს 2016 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არ აქვს მითითებული, თუმცა რეესტრის მონაცემები ამ ორი კომპანიის შესახებ რამდენიმე წელია არ განახლებულა. გოგი ლიპარტელიანს ასევე არა აქვს დეკლარირებული თავისი მეუღლის, ნაზი ლიპარტელიანის მონაწილეობა 15-ზე მეტ სხვადასხვა კომპანიაში.

ზაზა კედელაშვილი (უმცირესობა, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი)

საჯარო რეესტრის ვებგვერდის მიხედვით ზაზა კედელაშვილი შპს „ჩემპიონის“ 25%-ის მფლობელია, რის შესახებაც 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არა არის მითითებული.

პაატა ლეჟავა (უმცირესობა, ვანის მაჟორიტარი)

პაატა ლეჟავა ორი კომპანიის - შპს „ფუნთუშას“ და შპს „ლგ და კომპანია ფიროსმანის“ მენილედ ფიქსირდება, თუმცა არც ერთი ამ კომპანიის შესახებ 90-იანი წლების შემდეგ მონაცემები განახლებული არ არის. ამავდროულად, ის შპს „ფუნთუშას“ დირექტორიცაა. პაატა ლეჟავას მეუღლე ნინო ლასხიშვილი შპს „ფეშენ სტაილის“ 80%-ს ფლობს, რაც 2016 წლის დეკლარაციაში არ არის მითითებული. 2016 წლის ივნისში შევსებულ დეკლარაციაში ასევე არ არის მითითებული ნინო ლასხიშვილის 50%-იანი წილი შპს „ანტიკვარიატში“, რომელიც 2015 წლის აგვისტოში დარეგისტრირდა. ამ კომპანიის შესახებ მონაცემები, ასევე, რამდენიმე წელია არ განახლებულა.

გია ჟორჟოლიანი (უმრავლესობა)

გია ჟორჟოლიანის მეუღლე თინათინ ზალდასტანიშვილი შპს „LT GLOBAL SERVICES LLC საქართველოს ფილიალის“ დირექტორია, რაც პარლამენტის წევრს 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებულია არა აქვს, თუმცა სხვა კომპანიებთან კავშირები დეკლარაციაში ასახულია.

ვიქტორ ჯაფარიძე (უმრავლესობა, მესტიის მაჟორიტარი)

2014 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით ვიქტორ ჯაფარიძის მეუღლე ნათია ხვისტანი ერთი კომპანიის, შპს „ქცია 94-ის“ მენილეა, თუმცა საჯარო რეესტრის ვებგვერდის თანახმად, ნათი ხვისტანი წილებს ორ სხვა კომპანიაში ფლობს, ესენია: შპს „სეტი“ (50%) და შპს „ტირ პარკ მარნეული“ (17%). ვიქტორ ჯაფარიძეს 2014 წლის შემდეგ ქონებრივი დეკლარაცია არ შეუვსია.

ზაქარია ქუცნაშვილი (უმრავლესობა, თიანეთის მაჟორიტარი)

ზაქარია ქუცნაშვილის მამა ომარ ქუცნაშვილი რამდენიმე კომპანიის მენილეა, რაც პარლამენტის წევრის 2016 წლის დეკლარაციაშია მითითებული. თუმცა დეკლარაციაში არ არის მითითებული ომარ ქუცნაშვილის კავშირი შპს „სუპერ ტორფთან“ და შპს „ქმბ“-თან. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, იგი შპს „სუპერ ტორფის“ 10%-ს და შპს „ქმბ-ს“ 20%-ს ფლობს. იგი ასევე ფიქსირდება შპს „ქართულ-აზერბ. ერთობ. საპროექტ.-სამშ კომპ. თბილ-ბაქო“-ს დირექტორად.

ლევან თარხნიშვილი (უმცირესობა)

ლევან თარხნიშვილს 2016 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ მისი მეუღლე ანა თარხნიშვილი შპს „ბი-სი-ჯი კვლევის“ მენილეა. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ანა თარხნიშვილის კიდევ ერთი კომპანიის - „ბი-სი-ჯი მონიტორინგის“ მენილე და დირექტორია.

არადეკლარირებული კომპანიებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომელთა შესახებაც მონაცემები საჯარო რეესტრის ვებგვერდზე რამდენიმე წლის მანძილზე არ განახლებულა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ კომპანიები აღარ ფუნქციონირებენ, თუმცა ისინი ოფიციალურად მაინც არსებობენ და ეს არ ათავისუფლებს დეპუტატებს ვალდებულებისაგან, შეიტანოს დეკლარაციაში აღნიშნულ კომპანიებში წილების ფლობა ან/და გავიდეს კომპანიების მმართველობიდან.

ცხრილი 2. პარლამენტარების კავშირები ბიზნესთან

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	
გელა სამხარაული	უმრავლესობა	შ.პ.ს. დია ალავერდი	100%-იანი წილი	
		შ.პ.ს. დია გრუპ	33.33%-იანი წილი	
		შ.პ.ს. დუტა & F	22%-იანი წილი	
		შ.პ.ს. ვერა-2011	30%-იანი წილი	
გიორგი ცაგარეიშვილი	უმრავლესობა	ს/ს ყაზბეგი	აქციონერი, მინდობილობით ზურაბ ცაგარეიშვილი	
		შპს ყაზბეგი-ტობაკო	“0.7%-იანი წილი, მინდობილობით ზურაბ ცაგარეიშვილი“	
გიორგი კახიანი	უმრავლესობა	შპს ბელელი	33.34%-იანი წილი, წილის მმართველი იმედა კახიანი	
		შპს "გლობალ ბრენდს"	25%-იანი წილი, წილის მმართველი იმედა კახიანი	
გოჩა ენუქიძე		შპს იბერკომპანი	100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი	
		შპს "ბანი"	100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი	
		შპს იბერკომპანი პეტროლიუმი	100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი	
		შპს "იბერკომპანი-ჰოლდინგი"	80%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი	
		შპს "გლობალ თრეიდინგ კომპანი"	33.4%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი	
		შპს გალაქსი ინვესტი	“01009014841, ბექა კიკალეიშვილი(50%)”	

	კომენტარი	დეკლარირებული შემოსავალი
		0
		0
	2010 წლის შემდეგ ცვლილება არ შესულა	0
	2011 წლის შემდეგ ცვლილება არ შესულა	0
	ქონებრივ დეკლარაციაზე დაყრდნობით	0
		0
		44500
		0
	შპს იბერკომანის შეერწყა იბერკომპანი ოილი და იბერკომპანი ირაო. მითითებულია სამივე კომპანიის დაჯამებული შემოსავალი	4317893
		0
		246315
		0
		0

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	
		შპს "აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი"	პარტნიორი	
		შპს გალაქტიონი 3	50%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი	
გიორგი ჟვანია	უმრავლესობა	შპს ბი-ემ-სი	20%-იანი წილი	
		Tibaneli GmbH (გერმანია)	პარტნიორი	
		შპს ტიბანელი	100%-იანი წილი	
		შპს აპოლო	პარტნიორი	
გოდერძი ბუკია	უმრავლესობა	შ.პ.ს. სისტემ ნეტ	3.6%-იანი წილი, წილის მმართველი გურამ ახალაია	
გიორგი თოფაძე	უმრავლესობა	შპს "თოფაძე და კომპანია"	34%-იანი წილი	
		შპს "ყაზბეგი 1881"	24%-იანი წილი	
		შპს "თრუსო"	30%-იანი წილი(წილის მმართველო ირაკლი თოფაძე)	
		შპს "ყაზბეგი-ფშაველი"	10%-იანი წილი	
		შპს "კურორტი ბაკურიანი"	45%-იანი წილი	
		შპს "თრიალეთი"	80%-იანი წილი	
		შპს "იორის ტალები"	17%-იანი წილი	
		შპს "ყაზბეგი-ბაკურიანი"	99%-იანი წილი	
		შპს "CALWE"	20%-იანი წილი	
		შპს ქართუ-უნივერსალი	24.5%-იანი წილი (ირაკლი თოფაძე წილის მმართველი)	
		შპს "თერჯოლა-2007"	34%-იანი წილი	

	კომენტარი	დეკლარირებული შემოსავალი
		0
		0
		25000
		0
		0
	1998 წლის შემდეგ არ განახლებულა	
		0
		0
		0
		0
		0
		0
		0
		0
		0
		611052
		0

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	
გიორგი თოფაძე	უმრავლესობა	შპს "ყაზბეგი-ნაყინი"	25%-იანი წილი	
		შპს "ფშაველი-ყაზბეგი"	20%-იანი წილი	
		შპს "ყაზბეგი ნატალი"	26%-იანი წილი	
		სს "ყაზბეგი"	აქციონერი (584608 აქცია)	
		შპს "სამთო-სათხილამურო კლუბი ყაზბეგი"	50%-იანი წილი	
		შპს "ყაზბეგი-99"	მეწილე, ლიკვიდაცია დაწყებულია	
		შპს "რესტორანი ყაზბეგი-ვერე"	7%-იანი წილი, ლიკვიდაცია დაწყებულია	
		შპს "ბარი ყაზბეგი-ქოლგები"	მეწილე	
		შპს "წარაფი-98"	13%-იანი წილი	
		შპს სამგორი	33.4%-იანი წილი	
		შპს ბაკურიანის ბეტონი	25 %იანი მეწილე	
		შპს ვეტპრეპარატი	50%-იანი წილი, ლიკვიდაცია დაწყებულია	
		შპს ცხრაწყარო-2007	30%-იანი წილი (წილის მმართველო ირაკლი თოფაძე)	
ეკა ბესელია	უმრავლესობა	სპს ეკა ბესელიას საადვოკატო კომპანია	დამფუძნებელი	
ვახტანგ ხმაღაძე	უმრავლესობა	შპს თბილისის საარბიტრაჟო პალატა	35.7%-იანი წილი	
დავით ბეჟუაშვილი	უმრავლესობა	CHEMEXIM INTERNATIONAL LTD (მარშალის კუნძულები)	პარტნიორი	
		KEMBLE TRADING LTD (კვიპროსი)	პარტნიორი	
გურამ მისაბიშვილი	უმრავლესობა	შპს ხანდა	100%-იანი წილი, წილის მმართველი გერმანე კუპრეიშვილი	

	კომენტარი	დეკლარირებული შემოსავალი
		0
		0
		0
		0
		0
		0
		0
	ქონებრივ დეკლარაციაზე დაყრდნობით	0
		0
		0
		0
		0
		0
		0
		0
		0
		0

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	
გოგი ლიპარტელიანი	უმცირესობა	შპს ტირიფონ-ჰესი	მეწილე	
ზაზა კედელაშვილი	უმცირესობა	შპს ზაკ	33.4%-იანი წილი, წილის მმართველი კახა ქურციკიძე	
		შპს ზედაზენი იმერეთი	5%-იანი წილი, წილის მმართველი გიორგი ბარათაშვილი	
		შპს. იბერია საქართველო	15%-იანი წილი, წილის მმართველი მამუკა წინამძღვრიშვილი	
		შ.პ.ს ტრანს ექსპერიმენტი	5%-იანი წილი, წილის მმართველი გიორგი ბარათაშვილი	
		შპს ჩემპიონი	25%-იანი წილი	
ზაქარია ქუცნაშვილი	უმრავლესობა	შპს მიგრანტთა საადვოკატო ბიურო	55%-იანი წილი	
		შპს ადვოკატები რეპრესირებულთათვის	40%-იანი წილი	
		ქ ენდ ქ კონსალტინგი	60%-იანი წილი	
